მეექვსე წელიწადი

ეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის თვეში 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

პარასკევი, 26 მარტი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 67 (1522)

დღიური

- ოსმალეთის მთავრობამ ჩააქრო ქურთების აჯანყება.
- საფრანგეთში დღითი დღე მოელიან ბრიანის მთავრობის გადადგომას.
- ბალდუინი კმაყოფილია ქვანახშირის მრეწველების გამომკვლევ კომისიის მუშაობით.
- გერმანიამ განაცხადა, რომ დაუესის გეგმის განხორციელებისათვის მისთვის აუცილებელია ახალშენები.
- გერმანიაში უკმაყოფილონი არიან ჩემბერლენის პოზიციით ჟენევაში.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
აპრილისთვის
მთავარი კანტორა — რუსთაველის პრ. № 34

დღეს ურიგდება
შეპირებული პრემიები
„კომუნისტი“-ს
3 თვის და 6 თვის ხელისმომწერლებს

ხელფასი და შრომის ნაყოფიერება

სამუშაო ხელფასის დარგში უეჭველად დიდი მიღწევები გვაქვს. ხელფასი საერთოდ მიუახლოვდა და გაუთანაბრდა ომის წინანდელ დონეს, ალაგ-ალაგ კიდეც გადააჭარბა მას. აქ თვალსაჩინოდ ჩანს საბჭოთა ეკონომიკის ზრდა და შრომის ნაყოფიერების გადიდება, რაზედაც დამოკიდებულია შრომის ქირის ოდენობა.

როგორი უნდა იყოს სამუშაო ხელფასის პოლიტიკა ახლო მომავლისათვის? ამაზე, სხვათა შორის, გარკვეული პასუხი მოგვცა საქართველოს პროფკავშირთა უკანასკნელმა ყრილობამ, ამ მხრივ აგრეთვე საგულისხმოა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს სახელმძღვანელო წერილი პროფორგანიზაციებისადმი, რომელიც დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ჩვენი მეურნეობა ამჟამად საგრძნობ სიძნელეებს განიცდის. იძულებული გავხდით რამოდენიმედ შეგვემცირებინა 1925—26 სამ. წლისათვის დადგენილი საწარმოო პროგრამები. არ გვეყოფნის საკმაო ფინანსიური საშუალებები მრეწველობის საჭირო მასშტაბით გაშლისათვის. აქედან—უკიდურესი მომჭირნეობის გამოჩენა ყველაფერში—ასეთია ჩვენი ლოზუნგი. კერძოდ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სათანადო სიფრთხილე ხელფასის საკითხში.

დღევანდელ პირობებში ხელფასის საერთო მომატებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მრეწველობის უფრო სწრაფი ზრდის მოლოდინში ვინემ ეს ნამდვილად ხდება, უკანასკნელ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს, ხელფასი მნიშვნელოვნად იქნა გადიდებული. ამჟამად ჩვენი მეცადინეობა უნდა იყოს მიმართული არსებული რეალური ხელფასის შენარჩუნება - განმტკიცებისაკენ. ამავე დროს ამით, რა თქმა უნდა, არ არის უარყოფილი ამ მხრივ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის ხელფასის მომატების აუცილებლობა; პირიქით, ეს საჭიროა, მიუხედავად სახელმწიფოს დღევანდელი ფინანსიური ხელმოკლეობისა.

როგორ უნდა შევინარჩუნოთ რეალური ხელფასი და მოვამზადოთ ნიადაგი შემდეგში მისი გადიდებისათვის? ამისათვის ერთი მთავარი ზომათაგანია შრომის ნაყოფიერების აწევა. ეს საკითხი შეიცავს ორ მომენტს. ერთი მათგანია შრომის ინტენსივობის ზრდა და შრომის დისციპლინის განმტკიცება. ამ მხრივ შარშან ფართე კამპანია ჩავატარეთ და მეტად საგრძნობ შედეგებსაც მივაღწიეთ. მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენ ვამჩნევთ არასასურველ მოვლენებს. გამომუშავების ნორმამ აქა-იქ იკლო, სამუშაოს გაცდენის შემთხვევებმა იმატა, შრომის დისციპლინა რამოდენიმედ შეირყა. სამეურნეო ორგანოებთან ერთად, პროფკავშირებმა ამ გარემოებას კვლავ უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება. შრომის ინტენსივობა და დისციპლინა შესაძლებელ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი. კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ფაბრიკა-ქარხნებში ახლად ჩაბმულ მუშების საწარმოო და პროფესიულ მომზადებას.

შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო პროცესის რაციონალიზაციას. ამ დარგში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ეხლა ვიწყებთ ნამდვილ მუშაობას. ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა ბევრგან გაცვეთილია, ამუშავებულია წინედ უმოქმედოდ მდგარი და საკმაოდ მოუწყობელი წარმოებანი. არ არის შესაფერისად მოგვარებული ნედლი მასალის და სათბობის მიწოდება-გამოყენების საქმე. არ არის დამყარებული ისეთი შინაგანი წესრიგი, როცა მუშა უმცირეს დროსაც არ აცდენდეს ტყუილუბრალოდ. ბევრგან დარღვეულია შრომის სანიტარულ - ჰიგიენური პირობები. ყველაფერი ეს აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და აძვირებს საქონლის ღირებულებას.

პროფკავშირებმა ენერგიულად უნდა შეუწყონ ხელი სამეურნეო ადმინისტრაციის იმ ღონისძიებებს, რომელნიც მიზნად ისახავენ ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრას და თვითონაც გამოიჩინონ ამ დარგში ინიციატივა, რა თქმა უნდა, სამეურნეო ორგანოებთან სრული შეთანხმებით.

შემდეგ: რეალური ხელფასის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზედნადები ხარჯების შემცირებას, ეკონომიის რეჟიმს, სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ვაჭრობის გაჯანსაღებას, რა გზითაც შესაძლებელია საქონლის გაიაფება და, მაშასადამე, ფულის სყიდვითი უნარის აწევა. ამ მიმართულებით კამპანია უკვე გაჩაღებულია და პროფკავშირებმა მასში უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მომავალ კამპანიის დროს ამ საკითხებზე უნდა იქნეს შეჩერებული მუშა - მოსამსახურეთა ყურადღება. თვით ეს ხელშეკრულებები უნდა გახდენ მასის ფართე გარჩევის საგნად. არ უნდა იქნეს დაშვებული მათი დადება კაბინეტებში, მუშების ზურგს უკან. ამ დარგშიც უკვე გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. ეხლაც მუშების ფართე მასამ ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს კოლხელშეკრულებათა შემუშავება-განხილვაში. ეს ხელშეკრულებები უნდა გამოხატავდენ მასის სჯა-ბაასის და ნებისყოფის შედეგს. სრულებით დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მუშათა მასა, როცა ის სწორად გაერკვევა საქმეთა ვითარებაში, არ წამოუყენებს ჩვენს მრეწველობას გადაჭარბებულ მოთხოვნებს.

მუშებისათვის ცხადია, რომ მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება მჭიდროთაა დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, მრეწველობის გაფართოებასთან, ვაჭრობის გაჯანსაღებასთან, სასტიკი ეკონომიის დაცვასთან; და მათ ამ ამოცანების გადაჭრას უნდა შეუწყონ ხელი მთელი თავიანთი ძალღონით.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს მშრომელ გლეხობისათვის იაფი და გრძელვადიანი სესხის მიწოდება საწარმოო მიზნით—მეურნეობის აღსადგენად და გასაფართოვებლად. ფულადი კრედიტის მიცემის გარდა, მათ ევალებათ გლეხის მომარაგება აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო იარაღებით და მეურნეობისათვის საჭირო სხვა საგნებით.

ჩვენში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ამხანაგობათა რიცხვი რამოდენიმე ათეულს უდრის. ეს ძალიან ცოტაა მთელი საქართველოსათვის და საჭიროა მათი ქსელის გაფართოვება. მაგრამ არა მარტო რიცხვს აქვს მნიშვნელობა. უფრო საგულისხმოა იმის გათვალისწინება, თუ რას წარმოადგენენ ხსენებული ამხანაგობები და როგორია მათი მუშაობის ნაყოფი. და ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ამ მუშაობის შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ამის მთავარი მიზეზია საკრედიტო ამხანაგობათა თანხების სიმცირე. ისინი უმთავრესად იკვებებიან სახელმწიფოს მიერ გაღებული ფულებით, თვით მოსახლეობის ანაბარები სრულებით უმნიშვნელო წილს შეადგენენ მათ თანხებში. სახელმწიფო კი დღეს ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდის და მას შესაძლებლობა არა აქვს საკმაო რესურსები გაიღოს საკრედიტო საქმისათვის.

და ჩვენ ხშირად ვხედავთ ასეთ სურათს: ის 10—15 ათასი მანეთი, რომელიც გაუღია სასოფლო-სამეურნეო ბანკს საკრედიტო ამხანაგობისათვის, უკანასკნელს უკვე დაურიგებია. გლეხობა კი აწყდება მას სესხის მოთხოვნით; ამხანაგობის აპარატს არაფერი რჩება გასაკეთებელი, ის არ არის მუშაობით დატვირთული და მისი თანამშრომლები გულზე ხელდაკრეფილი სხედან. ამგვარად, აპარატის შენახვა მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებს მიზანს და იგი მძიმე ტვირთად აწევს ამხანაგობას.

სახელმწიფო შეძლებისდაგვარად გაადიდებს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის თანხებს, მაგრამ მუშაობის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი ანაბარების მოზიდვაზე. საკრედიტო ამხანაგობა არ უნდა იყოს სახელმწიფოს შემყურე, მან უნდა განავითაროს თვითმოქმედება და მოსახლეობის თავისუფალი ფულებით გაიმაგროს თავი.

ამას აქვს მნიშვნელობა არა მარტო საკრედიტო ამხანაგობის მოღონიერებისათვის, არამედ სახელმწიფო ფინანსების განმტკიცებისა და სახელმწიფოს საშუალებათა გაძლიერებისათვის. სახელმწიფოს შეუძლია საკრედიტო ამხანაგობებში დაგროვილი თანხა დროებით მოიხმაროს ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად. მოსახლეობაში დიდძალი ფული ტრიალებს, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობის მომწესრიგებელ ხელს. ფულების ამ მასას არევდარევა შეაქვს ჩვენს ფინანსიურ სისტემაში და იგი ჩერვონეცის სიმტკიცეს ემუქრება. საკრედიტო ამხანაგობები უნდა იქცენ იმ არხებად, რომლებითაც მოსახლეობის თავისუფალი ფულები მოექცევიან სახელმწიფოს განკარგულებაში.

ანაბარები საკმაო სარგებელს აძლევენ მათ პატრონებს პროცენტების სახით. ამავე დროს ეს ფულის შენახვის საიმედო საშუალებაა, მხოლოდ საჭიროა მოსახლეობაში განვამტკიცოთ ნდობა საკრედიტო ამხანაგობებისადმი. საკრედიტო ამხანაგობაში ყოველი ფულის შემტანი მოქალაქე სავსებით უნდა იყოს დარწმუნებული, რომ იგი თავის ანაბარს მიიღებს თავის დროზე, პირველ მოთხოვნილებისთანავე. დღემდე ასეთი წესი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ირღვეოდა აქა-იქ. ამ დაუშვებელი მოვლენის ასაცილებლად, ანაბარების უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალური საგარანტიო ფონდის შექმნა, როგორც ეს გადასწყვიტა ეხლა დამთავრებულმა სრულიად საკავშირო თათბირმა სასოფლო სამეურნეო კრედიტის შესახებ.

ამავე თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა სასოფლო - სამეურნეო ბანკმა ყურადღება მიაქციოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საშუალებით სესხის გაღებას სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების დამზადება-გასაღებისათვის, რომელთაც აქვთ საექსპორტო მნიშვნელობა. თათბირმა აგრეთვე მიზანშეწონილად აღიარა ეხლანდელი საკრედიტო ქსელის გადაკეთება საშუამავლო ფუნქციების მატარებელ საკრედიტო ამხანაგობებად. თუ ეს აზრი მიღებულ იქნა, მაშინ საკმაოდ გაფართოვდება საკრედიტო ამხანაგობათა მოქმედების არე. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამით არ უნდა შეიქმნას პარალელიზმი და ქიშპობა სხვა სახის კოოპერატივებთან. ამის საფრთხე კი არსებობს, რაც უეჭველად მავნებელია მთელი კოოპერატიული სისტემისათვის.

საკრედიტო ამხანაგობების მიზანშეწონილი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვისგან შესდგება იგი და უფრო—ვინ ხელმძღვანელობს მას. აქ სავსებით უნდა იქნას დაცული საშუალო-ღარიბ გლეხობის ჰეგემონია და კულაკებს არ უნდა მიეცეთ მისი თავიანთ ინტერესებისათვის გამოყენების საშუალება ამ მხრივ. სხვათა შორის, მისაღებია თათბირის აზრი, რომ დამყარებულ იქნას კავშირი სასოფლო-სამეურნეო კრედიტსა და გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებს შორის და უკანასკნელის წარმომადგენელი შეყვანილი იქნას საკრედიტო ამხანაგობის საბჭოში. გლეხკომს, თუ ის თავის სიმაღლეზე დგას, შეუძლია საკრედიტო ამხანაგობის საქმიანობა წარმართოს ღარიბ გლეხობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელ შემადგენლობის და მუშაობის გაჯანსაღებას. გლეხობის ფართე მასის დარაზმვა მათ გარშემო მათი გაძლიერება პაით და ანაბარებით, მშრომელ მოსახლეობის მეურნეობათა აღორძინებისათვის ხელის შეწყობა—ამ მიმართულებით უნდა გააძლიერონ მუშაობა საკრედიტო ამხანაგობებმა.

ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ ჩინეთში

დაიწყო გაფიცვები შანხაის საფეიქრო ფაბრიკებში

ელჩების უბანი პეკინში სამხარ ბანაკს წააგავს

სახალხო არმიას ძველი პოზიცია უკავია.

თეთრგვარდიელები ჩან-ძო-ლინს ემსახურებიან

ფრონტებზე

პეკინი, 24 მარტი. პეკინის გარნიზონის სარდალი გენერალი ლუ-ჩინ-ლინი ოფიციალურ ცნობაში აღნიშნავს, რომ პირველი სახალხო არმიის მიერ იმ პოზიციების დატოვება, რომელიც მას მაჩანის და ლუან-ჯოუს ფრონტებზე ეჭირა, სრული წესრიგით მოხდა. არმიას არ დაუკარგავს არც ჯარისკაცი, არც იარაღი და არც სამხედრო მასალა.

ლი-ჩინ-ლინი აცხადებს, რომ სახალხო არმია პეკინს თავის ხელში შეინარჩუნებს.

ძველ პოზიციებზე

პეკინი, 24 მარტი. სახალხო არმიები ამჟამად უკან იხევენ იმ პოზიციებისაკენ, რომელიც მათ ეჭირათ, სანამ სუნ-ჩუან-ფანი გამოვიდოდა მუკდენის ძალების წინააღმდეგ მდინარე იან-ძე-კიანგის ბოლოში.

ნეიტრალური ზონა

პეკინი, 24 მარტი. ხმების მიხედვით, სახალხო არმიასა და მუკდენის ჯარებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალით ნან-ფანი (პეკინსა და ტიან-ძინს შუა) ნეიტრალურ ზონად არის გამოცხადებული.

თეთრგვარდიელები „მუშაობენ“.

პეკინი, 24 მარტი. ტიან-ძინში შევიდენ ჩჟან-ძო-ლინის ჯარები, რომელთა შორის რუს თეთრგვარდიელების დიდი რაზმიც იმყოფება.

ხმების მიხედვით, ჯარები ძარცვავენ ქალაქის ჩინურ ნაწილს.

მძევლები

პეკინი, 24 მარტი. ჩინეთის იუსტიციის მინისტრმა პრეზიდენტ დუან-ძი-ჩჟუის გადასცა პეკინის უნივერსიტეტის რადიკალი პროფესორების და სტუდენტების სია დაახლოვებით ასი კაცისა და მოითხოვა მათი დაპატიმრება.

პეკინში

პეკინი, 24 მარტი. 23 მარტს დანიშნული იყო ჩინეთის მთავრობის სხდომა, რომელზედაც მხოლოდ 4 მინისტრი გამოცხადდა, მაგრამ ისინიც დაუყოვნებლივ დაიმალენ.

ჩინელთა წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს.

ფეიქართა გაფიცვა

პეკინი, 24 მარტი. საფეიქრო ფაბრიკაში, რომელიც ჩინელებს ეკუთვნის, დაიწყო გაფიცვა. გაფიცულია 6.000 მუშა.

გაფიცულებმა სცადეს შტრეიკბრეხერების სამუშაოდან მოხსნა, მაგრამ პოლიციამ ხიშტებით გაფანტა ისინი. დაჭრილია მრავალი.

გაფიცულები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას, პროფკავშირების ცნობას მწარმოებლების მიერ და მუშების უმიზეზოდ დათხოვნის შეწყვეტას.

დიპლომატების შიში

პეკინი, 24 მარტი. ელჩების უბანი პეკინში სამხარ ბანაკს წააგავს. უცხოელ ელჩების რაზმმა დარაჯები გამოუშვა ქუჩებში. ჭიშკრებთან დგანან შეიარაღებული დარაჯები და ტყვიისმფრქვეველები.

ამ სამხარ მზადების ნამდვილი თუ მოჩვენებითი მიზეზია ის გარემოება, რომ ეშინიათ ქალაქში წესრიგის დარღვევისა ჯარების გადაჯგუფების გამო.

პეკინის დაცვა

პეკინი, 24 მარტი. პეკინის გარნიზონის სარდალმა გენერალმა ლუ-ჩინ-ლინმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც თავის-თავზე კისრულობს წესრიგის დაცვას ქალაქში.

პეკინს იცავენ სახალხო არმიის ის ნაწილები, რომელნიც მტკიცე ნაწილებად ითვლებიან დისციპლინის მხრივ.

ცაო-კუნი

პეკინი, 24 მარტი. ჩინურ გაზეთების ცნობით, ზოგიერთი წრეები ცდილობენ განთავისუფლონ ყოფილი პრეზიდენტი ცაო-კუნი, რომელიც ციხეში იმყოფება.

ცაო-კუნმა ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ყოფნის დროს რამდენიმე მილიონი დოლარი დახარჯა პარლამენტის წევრების მოსასყიდათ. 1924 წ. შემოდგომაზე უ-პეი-ფუს დამარცხების შემდეგ ცაო-კუნის მთავრობა დაამხვეს და თვითონ ცაო-კუნი დააპატიმრეს.

მუშათა მოძრაობა

დემონსტრაციები გერმანიაში

ბერლინი, 24 მარტი. 23 მარტს მთელ გერმანიაში კომპარტიის ინიციატივით გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები.

ბერლინში, ქალაქის ყველა უბნებში გაიმართა უმუშევართა მასიური კრებები, რომლებზედაც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ქარხნის მუშები.

კრებების დახურვის შემდეგ უმუშევრებმა, დაახლოვებით 80.000 კაცმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს ლიუტერის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

პროვინციაში მუშების კრებებს ასეთივე მასიური ხასიათი ჰქონდა. ბევრ ადგილას აკრძალული იყო არა მარტო დემონსტრაციები, არამედ უმუშევართა კრებებიც. მიუხედავათ ამისა კრებები მაინც გაიმართა. პოლიცია ცდილობდა დემონსტრანტების გარეკვას. მიღებულია ცნობა, რომ პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს მიუნხენსა, ხემნიცსა და ესსენში. ესსენში დემონსტრაცია აკრძალა პოლიციის პრეზიდენტმა სოციალ - დემოკრატმა.

ჟენევის კომედია

სკშინსკის განცხადება

ვარშავა, 24 მარტი. პოლონეთის პრემიერმა **სკშინსკიმ** სეიმის გარეშე საქმეთა კომისიაში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ პოლონეთი მოწადინებული იყო ადგილი მიეღო ლიგის საბჭოში, არა პრესტიჟის გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ არავის არ ექნება მშვიდობიანობის უზრუნველყოფის და მორალური განიარაღების მომზადების იმედი, თუ პოლონეთს გერმანიასთან ერთად არ ექნა ადგილი ერთა ლიგის საბჭოში.

„ლოკარნოს სული“

ვარშავა, 24 მარტი. სეიმის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე **ქრისტიანულ ნაციონალურ პარტიის დეპუტატმა სტრონსკიმ თავიდან ბოლომდე გააკრიტიკა სკშინსკის ტაქტიკა ჟენევაში და აღნიშნა, რომ ლოკარნოს ცნობილი სული წარმოსდგა ჟენევაში.** გამოირკვა, რომ ინგლისს და აგრეთვე სხვა ჯგუფებსაც ლოკარნო ისე ესმით, რომ პოლონეთის მონაწილეობა ერთა ლიგის საბჭოში ზედმეტია. დამარცხება პოლონეთს თავიდან ააცილა არა ლოკარნოს სულმა, არამედ ბრაზილიის პროტესტმა.

ჩემბერლენის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 მარტი. ლონდონის კონსერვატიული გაზეთი „ივნინგ სტანდარდ“ აყენებს საკითხს—რატომ გაგზავნა ინგლისის მთავრობამ ჩემბერლენი ჟენევაში, როცა მან 3 კვირით ადრე **ლიგის სესიამდე იცოდა, რომ ბრაზილია წინააღმდეგობას გაუწევდა გერმანიის დაშვებას ერთა** ლიგაში და რომ ამ რიგად გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში არ მოხდებოდა.

„წინასწარი განიარაღება“

ლონდონი, 24 მარტი. თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის პირველი წინასწარი სხდომა დანიშნულია 18 მაისს ჟენევაში.

გერმანიის ოფიციალური განცხადება

ბერლინი, 24 მარტი. ვოლფის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში გერმანია გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ჩემბერლენმა ასეთი მნიშვნელობა მისცა ბრაზილიის განცხადებას, რომლის თანახმად საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ერთა ლიგის მთელმა სესიამ და რომ ლიგის სექციას არ შეუძლია უზრუნველყოს ბრაზილიის მხარის დაჭერა გერმანიის ერთა ლიგის წევრად და ლიგის საბჭოს მუდმივ წევრად მიღების საკითხში.

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ რადგან ინგლისის აზრით ლოკარნოს ხელშეკრულებები ძალაში შედის მხოლოდ ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შემდეგ, ინგლისს წინადადება უნდა მიეცა გერმანიისათვის ყველა არსებული დაბრკოლებების ლიგის სპეციალურ სესიამდე განხილვის შესახებ.

ქურთების აჯანყების ჩაქრობა

ანგორა, 24 მარტი. ოსმალეთის შინაგან საქმეთა კომისარმა განაცხადა, რომ ოსმალეთის ჯარები ახდენენ ქურთების აჯანყების ლიკვიდაციას. აჯანყებულები გარშემორტყმული არიან. აჯანყებულებს მეთაურობს ხოჯა.

ბრიანის დამხობის მოლოდინში

უჭირთ

პარიზი, 25 მარტი. „მატენი“ ამბობს, რომ დეპუტატების უმრავლესობას შესაძლებლად მიაჩნია სამინისტროს ახალი კრიზისის თავიდან აცილება.

„პტი პარიზიენის“ სიტყვით, პარლამენტის ზოგიერთ ჯგუფებში მოელიან კაბინეტის კრიზისს და ადგენენ ათასგვარ კომბინაციებს.

არც გადადგომა არც დათმობა

პარიზი, 25 მარტი. „პტი პარიზიენი“ სწერს, რომ არავის არ სურს კაბინეტის გადადგომა, მაგრამ არავინ არ ფიქრობს აგრეთვე დათმობაზე წასვლას.

მალვის გადადგომა?

პარიზი, 25 მარტი. „ექსცელსიორი“ და „პტი პარიზიენი“ უარყოფენ ხმებს მალვის გადადგომის შესახებ. გადადგომას შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ მაშინ, თუ ავადმყოფობამ დიდი ხნით მოსწყვიტა მალვი მოვალეობის ასრულებას.

რადიკალების პოზიცია

პარიზი, 25 მარტი. კაზალსმა განაცხადა, რომ რადიკალებს არ უნდათ შექმნან დაბრკოლებები მთავრობისათვის, მაგრამ სთხოვენ პერეს გამონახოს შეთანხმების ფორმულა.

ახალშენები უნდათ

ბერლინი, 24 მარტი. რეიხსბანკის დირექტორმა **შახტმა** განაცხადა, **რომ გერმანიისათვის საჭიროა ახალშენები**, როგორც ნედლი მასალის წყარო, თუ გერმანიამ უნდა განახორციელოს დაუესის გეგმა.

ბალდუინი კმაყოფილია

ლონდონი, 24 მარტი. ბალდუინმა მაღაროების მეპატრონეებს განუცხადა, რომ მთავრობა სავსებით იწონებს იმ კომისიის მოხსენებას, რომელმაც მოახდინა ნახშირის მრეწველობის გამოკვლევა. სუბსიდია ვერ გაგრძელდება იმ სახით, როგორც აქამდე იყო, იმ შემთხვევაში, თუ მაღაროების მეპატრონეები მიიღებენ კომისიის მოხსენებას, მთავრობა მზად არის განიხილოს ღარიბეს რაიონებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი.

შენიშვნა: ნახშირის მრეწველობის გამომკვლევ კომისიის მოხსენების მთავარი მუხლი ასეთია: კომისია უარყოფს ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციას, რასაც მაღაროს მუშები მოითხოვენ და ემხრობა მუშების ხელფასის შემცირებას“.

ინგლისელ მაღაროების მუშების სამუშაო ხელფასი ამჟამად ისედაც შემცირებულია ომის წინანდელ დონესთან შედარებით. კომისიის წინადადების მიღება კიდევ უფრო გააუარესებს მუშების მდგომარეობას.

საბჭოთა პრესა

საკუთარ ფეხებზე

საბჭოთა სახელმწიფო კოოპერაციას იმ თავიდანვე ყოველმხრივ დახმარებას უწევს. ამან ხელი შეუწყო კოოპერატიულ-საზოგადოებრივ მოძრაობის განვითარებას, კოოპერაციის წევრთა რიცხვის ზრდას, მისი ხვედრითი წონის გადიდებას ვაჭრობაში და სხ. მაგრამ კოოპერაციის ყველაზე უფრო სუსტ მხარეს წარმოადგენს საკუთარ კაპიტალების სიმცირე; ეს კაპიტალები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ოდნავადაც არ შეესაბამება კოოპერაციის ადგილს საბჭოთა მეურნეობაში, მის როლს საქონლის [illegible]. კოოპერაციის ნივთიერ-ფინანსიურ მოღონიერებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მარტო ამ ორგანიზაციის გაძლიერებისათვის, არამედ სოციალისტურ დაგროვებისათვის, რომელი ამოცანაც დღეს მთელი სიგრძესიგანითაა ჩვენს წინაშე წამოჭრილი. ამიტომ სწერს გაზ. **„პრავდა“**:

> „საკითხი კოოპერაციის საკუთარ საშუალებების შესახებ **განსაკუთრებით მწვავედ** უნდა დაისვას, ვინაიდან კოოპერატიულ კაპიტალების შექმნა ნიშნავს იმ ინდივიდუალურ დაგროვების მოქცევას კოლექტივიზაციის, ე. ი. სოციალიზმის კალაპოტში, რომელიც სწარმოებს ქვეყანაში, უმთავრესად სოფლად. როცა ჩვენ აღვნიშნავთ კოოპერაციის მონაწილეობის ზრდას საქონლის ტრიალში, ამით ჩვენ არსებითად ვაღიარებთ მხოლოდ კოოპერატიულ აპარატის შეჭრის ოდენობას ვაჭრობის სფეროში. მაგრამ ჩვენ კიდევ არ შეგვიძლია ვსთქვათ, თუ ვინ მოიგო და ვინ იზარალა საქონლის ტრიალიდან. საქონლის ტრიალში კოოპერაციის მონაწილეობის ზრდა რამდენიმედ, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს დაგროვების ხასიათს. მაგრამ მხოლოდ რამდენიმედ. შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი პირობები, როცა მოგებიდან „ლომის“ კერძი მიდის კერძო დაგროვების კალაპოტით, მიუხედავათ კოოპერატიული ვაჭრობის შედარებითი გადიდებისა.
>
> სოფლის მიმართ არ არსებობს სხვა უფრო სერიოზული საზომი სოციალისტურ ელემენტების ზრდისათვის, ვინემ საზოგადოებრივ კაპიტალების დაგროვება კოოპერაციაში“.

სახელმწიფოს ფინანსიურმა დახმარებამ, რომელიც დღემდე ეძლევა კოოპერაციას, უდიდესი ნაყოფი გამოიღო. კოოპერაციას საშუალება მიეცა ფეხზე წამომდგარიყო და მუშაობა გაევითარებია. მას შემდეგშიც არ მოაკლდება დახმარება სახელმწიფოს მხრით. მაგრამ უნდა მოხდეს გარდატეხა სახელმწიფოებრივ და კოოპერაციის საშუალებებს შორის დამოკიდებულებაში იმ მხრივ, რომ კოოპერაციაში უკანასკნელმა თანდათან გადააჭარბოს პირველს და დაიკავოს გაბატონებული მდგომარეობა. საბჭოთა კოოპერაციის მთავარი ლოზუნგია დღეს საკუთარ საშუალებათა შექმნა და გადიდება. როგორ უნდა მოხდეს ეს? „პრავდა“ ამბობს:

> „საზოგადოებრივი კაპიტალების შექმნა კოოპერაციაში მოითხოვს, რა თქმა უნდა, მუშაობის შემოსავლიანობას, ე. ი. მეურნეობის ისე დაყენებას, რომელიც უზრუნველყოფს მოგების ნორმალურ დაგროვებას. მაგრამ მთავარი როლი კოოპერატიულ კაპიტალების შექმნაში ამ ჟამად უნდა შეასრულონ პაიებმა, ანაბარებმა და წევრებისაგან საშუალებათა მოზიდვის სხვა ფორმებმა.
>
> ამ თვალსაზრისით მთელი რიგი სხვა ამოცანები, როგორიც, მაგ., ეკონომიის რეჟიმი, ბრძოლა გაფლანგვებთან, ზედნადებ ფასების დაკლებას და სხვ. ღებულობენ გაცილებით უფრო სერიოზულ და ღრმა აზრს. კოოპერაციის ნაკლულევანებებთან ბრძოლის მიზანი უნდა იყოს არა თავის თავად ცალკე ნაკლულევანებათა და ბოროტ-მოქმედებათა გამოაშკარავება, არამედ სწორედ საკუთარ საშუალებების გაძლიერება“.

ჩვენი მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ აღმოვფხვრათ ყველა ის მიზეზი, რომელნიც ხელს უშლიან კოოპერატიულ საშუალებათა დაგროვებას. ამ დარგში ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელნიც მყარ ნივთიერ საძირკველს შეუქმნიან კოოპერაციას.

აღმოსავლეთის ცხოვრება

მუსლიმანთა კონგრესი

ლონდონი, 24 მარტი. პალესტინის მუსლიმანური მოსახლეობის შინაურ საქმეებში მთავრობის ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად იერუსალიმში გაიმართა მუსლიმანთა კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ ყველა რაიონების დელეგატები. კონგრესის 3.000 მონაწილეთა შორის თითქმის ორი მესამედი მუშები და გლეხები იყვნენ.

კონგრესმა მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პროტესტი მთავრობის მიერ მუსლიმანთა უმაღლეს საბჭოს არჩევნების გაუქმების წინააღმდეგ; პროტესტი არაბთა მოთხოვნილების უარყოფის გამო; სოლიდარობის გამოცხადება სირიელ აჯანყებულთათვის და მოთხოვნა, რომ ფრანგებმა სირიის წინააღმდეგ ბრძოლა შესწყვიტონ; მოთხოვნა, რომ არაბთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ცხოვრებაში გაატაროს არაბთა უკანასკნელი კონგრესის გადაწყვეტილება.

ამ ყრილობის გამარჯვება, რომელზედაც ხელმძღვანელ როლს ნაციონალისტები თამაშობდენ ღირსშესანიშნავია, განსაკუთრებით თუ მას ინგლისის მომხრე მუსლიმანთა ყრილობის დამარცხებას გავიხსენებთ, რომელიც ამ ახლო წარსულში მოხდა.

სირიას დაპირებული ჰქონდა „თავისუფლება“

ვაშინგტონი, 24 მარტი. სირიაამერიკის საზოგადოებამ პრეზიდენტ კულიჯს, გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს და ვაშინგტონის კონგრესის წევრებს გაუგზავნა საპროტესტო მემორანდუმი საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ სირიის დამორჩილების წინააღმდეგ.

მემორანდუმში აღნიშნულია დაპირება, რომელიც ანტანტის სახელმწიფოებმა მისცეს სირიას ომის დროს და რომლის თანახმად სირიისათვის უნდა მიენიჭებიათ თავისუფლება. მემორანდუმში მოყვანილია აგრეთვე საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისმა სირია საფრანგეთს გადასცა და პრეზიდენტ ვილსონის განცხადება ვერსალში იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები მზად არიან მოაწესრიგონ საკითხი „ფაქტების მიხედვით“.

მემორანდუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავათ მოხსენებისა, (დამახინჯებულია) სირია გადაეცა საფრანგეთს, პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ტერორის წინააღმდეგ და მოითხოვს სირიის დამოუკიდებლობას.

ასეთივე მიმართვა გაეგზავნათ ერთა ლიგის ყველა წევრებს.

ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობა

სტამბოლი, 24 მარტი. ოსმალეთის მთავრობა შეუდგა ბერძენ ქვეშევრდომთა ქონების კონფისკაციას, რაც გამოწვეულია საბერძნეთის მთავრობის მიერ ოსმალო ქვეშევრდომების ქონების კომპენსაციის საკითხის გაჭიანურებით.

პრესა მთავრობას ურჩევს უარყოს საბერძნეთის წინადადება მოლაპარაკების ათინაში გადატანის შესახებ.

სხვადასხვა

გერმანიის ნაციონალისტების ლიდერი. გერმანიის ნაციონალისტური პარტიის გაფართოებულმა საბჭომ პარტიის თავმჯდომარეთ აირჩია გერმანიის რეიხსტაგის ნაციონალისტების ფრაქციის ეხლანდელი თავმჯდომარე გრაფი ვესტარპი.

გაფიცვა რუმინეთში. რადგან მეწარმეებმა უარყვეს სამუშაო ხელფასის 10 პროცენტით გადიდება, რეჩიცში, რუმინეთის მძიმე მრეწველობის უმსხვილეს წარმოებაში, რამოდენიმე ათასი მუშა გაიფიცა.

ბეტლენი „უდანაშაულოა“. უნგრეთის პარლამენტმა ხმის უმრავლესობით მოიწონა პარლამენტის საგამომძიებლო კომისიის ანგარიში ყალბი ფულების დამამზადებელთა საქმის შესახებ. ანგარიში ბეტლენს უდანაშაულოდ სცნობს.

სალაროს გაქურდვა. პარიზის უნიტარულ პროფკავშირების გაერთიანების ბინაზე ღამით გატეხეს სალარო და მოიპარეს 20.000 ფრანკი.

ჩერნის დეკლარაცია. ჩეხო-სლოვაკიის ახალმა პრემიერმა ჩერნიმ პარლამენტში წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მთავრობა განაგრძობს შვეჰლის მთავრობის პოლიტიკას.

„ბუნებრივი სიკვდილი“. მატეოტის მკვლელთა პროცესზე დამცველები ცდილობენ დამტკიცებას, რომ მატეოტი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

კომუნისტურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 25 მარტი. კომკავშირის აღმასკომის პლენუმის საღამოს სხდომაზე 23 მარტს ამხ. **გლაუბაუმმა** მოხსენება წაიკითხა პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობაზე სხვადასხვა ქვეყნებში.

24 მარტის [illegible] სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **გორკიჩის** მოხსენება სპორტიულ მოძრაობის შესახებ.

სტანდარტიზაციის კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 25 მარტი. 24 მარტს გაიხსნა შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სტანდარტიზაციის კომიტეტის პლენუმი. კომიტეტის ამოცანებისა და სტანდარტიზაციის უმთავრეს საკითხების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. **კუიბიშევმა**. სხვათა შორის, მან სთქვა:

„უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ ჩვენდა კიდევ ძლიერია უწყებითი კარჩაკეტილობა. ეს უნდა მოვსპოთ. უამისოდ სტანდარტიზაციის გატარება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. მხოლოდ ყველა დაწესებულებათა და ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირისა და სრულ შეთანხმების დამყარებით ავიყვანთ სტანდარტიზაციის მუშაობას შესაფერ სიმაღლემდე. მხოლოდ ამგვარად უზრუნველვყოფთ ჩვენი მეურნეობის და ტეხნიკურ გაუმჯობესების უფრო სწრაფ ზრდას“.

უკანასკნელი ცნობები

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 25 მარტი. 24 მარტს დაიხურა ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

პლენუმის საბოლოო სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები კომისიების მუშაობის შესახებ. მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა განხილულ საკითხების გამო.

პლენუმმა აირჩია ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის სამდივნო, რომელშიაც შედიან: **ვუიოვიჩი, ლომინაძე, გიბნერი, შილერი და ბერტი.**

აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ვუიოვიჩი, ლომინაძე, გიბნერი, შილერი, ბერტი, შაცკინი, რეინგარდი, ალოჲ, მიხაილევი, იანვი, მერინგი, ხიტაროვი, გორკიჩი, ლონგო და ცამი.**

შვეცია და ჟენევა

სტოკჰოლმი, 24 მარტი. შვეციის პარლამენტის სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა უნდენმა პასუხი გასცა ინტერპელაციას იმ პოზიციის შესახებ, რომელიც შვეციის დელეგაციამ დაიკავა ჟენევაში. უნდენმა უარჰყო ბრალდება, თითქოს დელეგაციას გადაეხვიოს მიღებულ ინსტრუქციებიდან. მან განაცხადა, რომ შვეციის წინადადება, რომელიც კრიტიკის საგანი გახდა, შეტანილი იყო იმ დროს, როცა მოსალოდნელი იყო კონფლიქტი გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

„შვეციის დელეგაციამ ხელი შეუწყო საკითხის ისე გადაჭრას, რაც ჯერ ერთი სახელს არ უტეხს შვეციის პრინციპიალურ პოზიციას და მეორე ამისა მისაღები გახდა ყველასათვის.

სესიის უნაყოფოდ დამთავრება აიხსნება სულ სხვაგვარი დაბრკოლებებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმის მიღწევა მაინც შესაძლებელი გახდა, რომ გერმანიის ლიგაში მიღების გადადება გერმანიისა და საფრანგეთის უთანხმოებას არ მოჰყოლია შედეგად.

ლოკარნოს შეთანხმება შეიძლება დაცულ იქნეს. გერმანიას უკან არ წაუღია თავისი შუამდგომლობა ლიგაში მიღების შესახებ.

სირიელ რევოლუციონერების სიკვდილით დასჯა

ანგორა, 24 მარტი. გაზეთი „რესპუბლიკ“ იტყობინება, რომ სირიელ რევოლუციონერებს ნესიბს, შაჰნის და აბდულახს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

დამასკში ცენზურა შემოიღეს პერიოდულ პრესაზე.

მილიონი დოლარი ჯილდოთ

ლონდონი, 24 მარტი. პეკინიდან მიღებული ცნობით, ჩჟან-ძოლინი ერთ მილიონ დოლარს ჯილდოთ აღუთქვამს იმას, ვინც ფინ-იუი-სიანის თავს მიუტანს.

აფეთქება ქიმიურ ფაბრიკაში

პარიზი, 24 მარტი. ლიონის მახლობლად, ქიმიურ ფაბრიკაში, მოხდა ძლიერი აფეთქება.

ფაბრიკის შენობა სავსებით დანგრეულია. ნანგრევების ქვეშ 35 მუშა მოჰყვა. ჯერ-ჯერობით ერთი გვამი ამოიღეს. 40 კაცი მძიმედ დაიჭრა.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 25 მარტი. 2 აპრილს შესდგება მე-14-ე პარტყრილობაზე არჩეულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე მორიგი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობა მე-14-ე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, სასოფლო უჯრედების შემოწმების მიმდინარეობა, მოხსენება საშემოსავლო გადასახადის გამოკვლევის შესახებ, 1925 წლის პურის დამზადების გამოცდილება და დასკვნები 1926 წლის კამპანიისათვის.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებები მოიწონეს

პრაღა, 24 მარტი. ჩეხის კომპარტიის პრაღის ორგანიზაციის წევრების საერთო კრებაზე მიღებულია რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით არის მოწონებული კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი გაფართოებული პლენუმის დადგენილებები.

რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა 5 კაცმა პანეკის მეთაურობით (მემარჯვენე მიმდინარეობის წარმო-

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ფულის ტრიალი.

მოსკოვი, 25 მარტი. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობების თანახმად, საბჭოთა კავშირში 1 მარტისათვის ფულის ტრიალი გამოიხატებოდა 1.256.079.000 მანეთში.

უკრაინა

ყინვები უკრაინაში.

ხარკოვი, 25 მარტი. მთელ უკრაინაში თბილი დღეების შემდეგ ძლიერი ყინვები დაიწყო.

თოვლი დადნა. ნათესები საშიშ მდგომარეობაშია.

გლეხთა მეურნეობა.

ხარკოვი, 25 მარტი. უკრაინის ყველა ოლქებში დათვალიერებულ იქნება გლეხთა მეურნეობანი. ყოველი სამაგალითო მეურნეობა მიიღებს ჯილდოს.

ჯილდოების დასარიგებლად უკრაინის თვითეულ ოლქზე გადადებულია 15.000 მანეთი.

სტუმრების ჩამოსვლა.

ხარკოვი, 25 მარტი. 24 მარტს ხარკოვში ჩამოვიდა რამდენიმე რკინისგზელი უკრაინის რკინისგზელთა მდგომარეობის გასაცნობად.

სტალინოში, სადაც დიდი ლითონის ქარხანაა, ქარხნის დასათვალიერებლად ჩამოვიდა ამერიკელი კომუნისტი ფორსტერი.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

მოსკოვი, 25 მარტი. 24 მარტს დასრულდა მეორე სრულიად საკავშირო თათბირი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ. იმ მიზნით, რათა დამყარდეს კავშირი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტებს შორის, კომიტეტების წარმომადგენლები შეყვანილი უნდა იქნან საკრედიტო ამხანაგობათა საბჭოებში და სახელმძღვანელო პოსტებზე წამოყენებული იქნან ავტორიტეტული მუშაკები.

ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაევალა თვალყური ადევნოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღებისათვის ფინანსიური დახმარების მიცემას.

თათბირმა მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ მომავალ მუშაობის დროს საკრედიტო ორგანოები უნდა ემყარებოდენ მხოლოდ საკუთარ ძალებს და კოოპერატივებში გაერთიანებულ მცხოვრებთა მასების თვითმოქმედებას. ამისდა მიხედვით საკრედიტო ქსელი უნდა იქნას გარდაქმნილი საკრედიტო ამხანაგობათა საფუძველზე. ანაბარების უზრუნველყოფისათვის არსდება სპეციალური საგარანტიო ფონდი.

პროფკავშირები და კოლექტიური ხელშეკრულებანი

მოსკოვი, 25 მარტი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა პროფორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც აღნიშნულია პროფკავშირთა ამოცანები კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების მომავალ კამპანიაში.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო წინადადებას იძლევა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს გადიდებული იქნას ხელფასი სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რომლებიც უფრო ჩამორჩენილია ამ მხრივ.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ფიქრობს, რომ სახალხო მეურნეობის ასეთ დარგებს ეკუთვნის დონის ოლქის მრეწველობა, რკინის-გზის ტრანსპორტი და სახალხო კავშირის უწყება. დანარჩენ დარგებში, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს აზრით, საჭირო არ არის ხელფასის გადიდების საკითხის დაყენება.

მახლობელ პერიოდში პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიღწეულ ხელფასის დონეს შენარჩუნებას, უმთავრესად, საწვრილმანო ფასების დაკლების და კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების საშუალებით.

გარდა ამისა, კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების დროს პროფკავშირებმა უნდა მოითხოვონ შრომის სანიტარული და ტეხნიკური პირობების გაუმჯობესება, ყოველმხრივ დაიცვან უმთავრესი უფლებები და მატერიალური ნორმები და აგრეთვე ის გარანტიები, რომელიც ძველ ხელშეკრულებებში არსებობდა.

ამავე დროს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საჭიროდ სთვლის მეტი ინიციატივის გამოჩენას წარმოებათა სწორად დაყენების საქმეში, ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს სამეურნეო ორგანოებს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გასადიდებლად, ხარისხის გასაუმჯობესებლად და ზედნართი ხარჯების შესამცირებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის მრეწველობის განვითარებისათვის.

ბაქო, 25 მარტი. ბაქოში ჩამოვიდა ნავთის მრეწველობის დირექტორი ემელიანოვი, რომელმაც ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

„რადგან აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფა სათბობი მასალით და აგრეთვე ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერება, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობი მასალის სექციას თათბირი ჰქონდა მომავალი 5 წლისათვის ჩვენი ნავთის მრეწველობის პროგრამის გარშემო. 731 მილ. ფუთი, რომელიც ნავთის სექციის მიერ არის ნავარაუდევი, არ არის საკმაო.

ცენტრში ამჟამად მთელი სიგრძე-სიგანით დასმულია საკითხი, თუ როგორ განვავითაროთ ინტენსიურად ნავთის მრეწველობა და რა ზომები იქნეს გამონახული იმისათვის, რომ გადიდებული იქნეს ნავთის ამოღება და დამუშავება.

ემელიანოვი იყო გროზნოში. ამჟამად მას განზრახული აქვს გამოარკვიოს ბაქოს ნავთის ამოღების გაძლიერების შესაძლებლობა მიმდინარე საოპერაციო წელიწადში.

ემელიანოვი აღნიშნავს „აზნეფტ“-ის დიდ მიღწევებს პროგრამის შესრულების და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

საშენი ქვების დამუშავება.

ბაქო, 25 მარტი. ბაქოში ჩამოვიდა ნორვეგიის საამშენებლო ფირმის წარმომადგენელი ინჟინერი ხოლევეცი.

ფირმას აინტერესებს საშენი ქვის დამუშავება ბაქოს მახლობლად.

ძველი ქალაქი.

ბაქო, 25 მარტი. აზერბეიჯანის არქეოლოგიური კომიტეტი ამჟამად იკვლევს ძველი ქალაქის ნაშთებს, რომელიც ნუხის მაზრაში ნახეს. საშინჯ გათხრის დროს აღმოჩნდა მაღალი კულტურის კვალი: მიწისქვეშა კანალიზაცია, დიდძალი საოჯახო ნივთები და ჭურჭლები.

ფიქრობენ, რომ ეს ძველი ქალაქის, კაბალის, ნაშთებია.

კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხები

2.*)

„ბალ-ბოსტან კავშირის“ მოღვაწეობის პრაქტიკული მხარე

„ბალ-ბოსტან კავშირი“ დაარსდა თანახმად მთავრობის დადგენილებისა გასულ წლ. ოქტომბერში. ხუთი თვეა მას შემდეგ, რაც ის თავის კოოპერატიულ მუშაობას აწარმოებს. ამ უმნიშვნელო ხნის განმავლობაში საორგანიზაციო ბიურომ, რომელიც ჯერჯერობით კავშირის ერთად-ერთ ხელმძღვანელ ორგანოთ ითვლება, შესძლო უნარის გამოჩენა და თავის საქმიანობით მებაღეთა ყურადღების მიპყრობა. იგი ცენტრის დაარსების პირველ დღიდანვე შეუდგა ხილის დამზადებას გორის მაზრაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის დაარსება მოხდა იმ დროს, როდესაც ხილის დამზადების სეზონი თავდებოდა. ყოველ წელს შემოდგომამდე მებაღეებს თავის ნაწარმოების შემოსავლის გაყიდვა უხდებოდათ ჩალის ფასად. „წარმოკავშირი“ ვერავითარ უნარს ვერ იჩენდა და არც შეეძლო გამოეჩინა ამ დარგში. წვრილ მწარმოებლების ინტერესების დაცვის ნიადაგზე კერძო პირებთან ბრძოლას არავინ აწარმოებდა. მიუხედავათ ყველა ამებისა, „ბალ-ბოსტან კავშირმა“ შესძლო—40 ათასი ფუთი ხილის დამზადება. დამზადება ხდებოდა იმ თანხის საშუალებით, რომელიც მიეცა მას სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან სესხის სახით. ამ თანხის რაოდენობა დაახლოვებით უდრის—129.850 მან. ამას უნდა მიუმატოთ პროცენტები ბანკის სასარგებლოდ 7.810 მან., რაც შეადგენს—137.660 მანეთს და 48 კაპ. კავშირს შეუძლია ბანკის ვალი გაისტუმროს მარტო იმ ხილის საშუალებით, რომელიც მოსკოვში გაიგზავნა და რომლის ღირებულება უდრის იქაურ ფასების მიხედვით დაახლოვებით—120 ათასს მანეთს. ამას ამოწმებს თავის მოხსენებაში სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის ერთ-ერთი წევრი, რომელიც გაემგზავრა მოსკოვში საქმის გამოსარკვევად. გარდა ამისა,—ხილი გადაგზავნილია ბაქოში—11.391 ფ., რომლის რეალიზაცია თანდათან ხდება. დამზადებული—4.177 ფ. ხილი იყიდება თბილისშიაც. რეალიზაცია ქმნილ ხილიდან ბანკს უკვე დაუბრუნდა 1 მარტში მოსკოვიდან—19.100 მან., ბაქოდან—25.701 მან. და თბილისში—6.994 მან. და 44 კაპ. პირველ მარტისთვის კავშირს ედება ვალი—98.204 მან. და 56 კაპ., ხოლო გასასაღებელი ხილის რაოდენობა მოსკოვში უდრის—11.616 ფუთს.

ასეთია დაახლოვებით სურათი კავშირის კომერციული ოპერაციებისა. ყოველ შემთხვევაში წელს კავშირის ოპერაციები უდეფიციტოდ უნდა დამთავრდეს. ამასთან ერთად მწარმოებლებს მიღებული აქვთ თავის პროდუქტის სრული ღირებულება, რითაც ისინი კმაყოფილნი არიან. ნუ დავივიწყებთ, რომ არც „წარმოკავშირს“ და არც „წითელ ქართლს“ ამგვარი ნორმალური დამოკიდებულება არ დაუმყარებიათ გლეხობასთან ხილის დამზადების დროს. საუბედუროთ, ბევრნი მოიპოვებიან მწარმოებელთა შორის ისეთები, რომლებსაც დღემდე არ მიუღია ჩაბარებული და უკვე გასაღებული ხილის საფასური. მარტო ეს ფაქტი საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ „ბალ-ბოსტან კავშირის“ არსებობა და მისი განვითარება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენ მეურნეობის ინტერესების დასაცავათ.

მას დიდი მომავალი აქვს.

ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს მის ორგანიზაციულ მხარეს. საორგანიზაციო ბიურომ ამ დარგშიაც გამოიჩინა საქმიანობის უნარი. მან უკვე შეიმუშავა ადგილობრივ ორგანოების ქსელი და შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ადგილობრივ კოოპერატივების მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „ბალ-ბოსტან კავშირის“ მიზანია ადგილობრივათ შეაკავშიროს წვრილი მწარმოებლები, რათა მათი დახმარებით გააძლიეროს მუშაობა მებაღეობის და მებოსტნეობის აღსადგენათ. ამ მიზნით განზრახულია რამოდენიმე ორგანიზაციის მოწყობა. კოოპერატივების დაარსების დროს ბიუროს წარმომადგენლები ადგილობრივ არ პირდებიან გლეხებს არც კამეჩების და არც ცხენების ჩუქებას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველათ. ამასთან ერთად არ იქმნება ორგანიზაციები ქაღალდზე, არამედ მწარმოებლების შეკავშირება ხდება ეკონომიური მოთხოვნილებების ნიადაგზე.

ამას გარდა, ორგანიზაციები იქმნებიან სხვადასხვა რაიონებში მებაღეობის და მებოსტნეობის განვითარების მიხედვით. მთელს საქართველოში შესაძლებელია შეიქმნეს არა უმეტეს 30 კოოპერატიული ორგანიზაციისა, რომლებმაც უნდა დაისახაონ მიზნად სპეციალური დარგის აღდგენა.

დიდი მომავალი აქვს „ბალ-ბოსტან კავშირს“ ხილის გადამუშავების დარგში. მას მიზნად აქვს დასახული გამონახოს სპეციალური თანხა ხილის და ბოსტნეულობის გადასამუშავებელ წამოწყებების მოსაწყობად. კავშირმა, როგორც სპეციალურმა ორგანიზაციამ, მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარებაზე უნდა იზრუნოს. იგი უნდა ეცადოს გაუადვილოს ჩვენს გლეხობას თავისი ნაწარმოების გასაღება საუკეთესო პირობებში. ამ მიზანს ის მიაღწევს, თუ შესძლებს ნაწარმოების ადგილობრივ გადამუშავებას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეხილეობის განსავითარებლად სანერგეების, თესლეულობის და ხეხილის მოსავლელ წამლეულობას და ხელსაწყო იარაღებს. ამას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება „ბალ-ბოსტან კავშირმა“.

გარდა ამისა, პრაქტიკულად უნდა დაისვას საკითხი: ხილის საზღვარ-გარეთ გატანის შესახებ, რათა მისი ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ მტკიცე გეგმა შემუშავდეს ცხოვრებაში გასატარებლად.

ცხადია, რომ „ბალ-ბოსტან კავშირის“ წინააღმდეგ ბრძოლა სარგებლობას მოუტანს მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინიციატორებს და არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

მთლიანად არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საქართველოში გასულ წელს მებაღეობის და მებოსტნეობის პროდუქციის რაოდენობა უდრიდა 9.487.000 ფ.; აქედან აღმოსავლეთ-საქართველოში 4.688.000 ფ., ხოლო დასავლეთ საქართველოში 4.849.000 ფ. ამიტომ ეს დარგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

სწორედ ეს არის სპეციალური ორგანოს შექმნის მიზეზი „ბალ-ბოსტან კავშირის“ სახით.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 58.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობა

გუშინ საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის („ზაკსოიუზი“-ს) რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

კ. პარტიის ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ნაზარეტიანი,** რომელმაც აღნიშნა რა ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის ნაყოფიერი მუშაობა, მიუთითა კოოპერაციის დავალიანებასა და მის სხვა სპეციფიურ სნეულებებზე და უსურვა მომავალ მუშაობაში ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრა.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე მისასალმებელი დეპეშა—„ცენტროსოიუზი“-დგან. ყრილობის გადაწყვეტილებით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა—კომპარტიის ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, ა.-კ. ცაკს და სახ. კომ. საბჭოს, საკავშირო კომპარტიის ცეკას და „ცენტროსოიუზი“-ს გამგეობას. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის, დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობა შეუდგა მუშაობას.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის საქმიანობა

(მომხსენებელი ამხ. ბალტინი)

მომხსენებელი ვრცელს მიმოხილვას უკეთებს კოოპერატივთა კავშირის საქმიანობას გასული 1924-25 წლის განმავლობაში და შემდეგ ყრილობას აცნობს კავშირის მოქმედებას მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ ორ კვარტალში (ოქტომბერ-თებერვალი), მთელი რიგი ისეთი საკითხების მოგვარებამ, რომელიც გასულ წელს აბრკოლებდა კავშირის ნაყოფიერ მუშაობას, საშუალება მისცა ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს შესდგომოდა ფართო სამეურნეო მუშაობას. განსაკუთრებით გააფართოვა კოოპერატივთა კავშირმა საკომისიო-საშუამავლო ოპერაციები, რომელიც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეადგენდა მთელი სავაჭრო ბრუნვის 95,2%, ხოლო იანვარ-თებერვალში დაახლოებით 96,5%. ბრუნვის მნიშვნელოვან თანხებს წარმოადგენს საკომისიო-საშუამავლო ოპერაციები სამრეწველო საქონლის ჯგუფების მიხედვით. სამრეწველო საქონლის ბრუნვა უდრის 5 თვის განმავლობაში (ოქტომბერ-თებერვალი) 4.650.615 მანეთს, რაც საერთო ბრუნვის 72,8% შეადგენს. მეორე ადგილი უჭირავს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციას. 5 თვის განმავლობაში ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს გაუსაღებია 1.071.751 მანეთის სახ.-სამ. საქონელი, რაც საერთო ბრუნვის 16,8% შეადგენს. შემდეგ ადგილი უჭირავს საიმპორტო საქონლის რეალიზაციას, რომელიც უდრის 454.746 მანეთს (საერთო ბრუნვით 7,1%). უკანასკნელ ჯგუფს წარმოადგენს გეგმით გაუთვალისწინებელ სამრეწველოს საგნების რეალიზაცია, სულ გაღებულია აღნიშნულ ჯილდოების საქონელი 107.879 მანეთისა.

თავის მუშაობის დროს ა.-კ. კოოპერატ. კავშირი ხელმძღვანელობს მტკიცეთ გამომუშავებული გეგმით და ყველა ოპერაციები შესრულებულ იქნა ამ გეგმის თანახმად.

ამხ. ბალტინის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. პიჩიკაანის მოხსენება საორგანიზაციო მუშაობის შესახებ, ამხ. კულაგას მოხსენება 1924-25 წლის საფინანსო ანგარიშის დამტკიცების შესახებ და ამხ. ბოკავის მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

თბილისის მაზრის თემკომების მდივნების თათბირი

16 მარტს მუშათა სასახლის პატარა დარბაზში გაიხსნა თბილისის მაზრის თემკომთა მდივნების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა: 1) თბილისის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, 2) მაზრის მოძრავ პოლიტსკოლების მუშაობის და მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებათა დამუშავების შესახებ სოფლად, 3) პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად, 4) საარჩევნო კამპანიის შედეგები თბილისის მაზრაში, 5) თემკომის მდივნების მოხსენება მათი მუშაობის ირგვლივ, 6) ინფორმაციული მოხსენება თბილისის მაზრის ორგანიზაციის ზრდის შესახებ.

თბილისის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. საშა პაპავა მაზრის მოძრავ პოლიტსკოლების მუშაობის და 14-ტე ყრილობის დადგენილების დამუშავების შესახებ სოფლად. თბილისის მაზრაში არის 19 მოძრავი პოლიტსკოლა: ქართული 10, სომხური 4, რუსული 4 და თურქული 1. დასახელებული პოლიტსკოლები დღემდე დაამთავრა 650 კაცმა. ამათ შორის პარტიის წევრები და კანდიდატები არის 180, კომკავშირელები 240 და უპარტიო 230. ეროვნების მიხედვით: ქართველები 315, სომეხი 160, რუსები 115, სხვადასხვა ეროვნებები 60.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პარტსკოლების მუშაობის ნაკლულოვანებებს და აღნიშნავს, რომ სკოლაში მყოფმა ამხანაგებმა კარგად ვერ შეითვისეს სკოლის პროგრამა, რის მიზეზათ ასახელებს სკოლაში მსმენელთა წერა-კითხვის უცოდინარობას; გარდა ამისა შესაფერისი ყურადღება არ ექცეოდა სკოლებს ადგილობრივ პარტ-ორგანოების მიერ, აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ არ გვყავდა გამოცდილი ხელმძღვანელები. დასახელებულ სკოლების გარდა მაზრაში არის 14 სტაციონალური სკოლა, მაგრამ მუშაობა იქაც მოისუსტებს. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მე-14 ყრილობის რეზოლიუციების დამუშავება. პარტიის წევრებმა და კანდიდატებმა სოფლად უნდა მიაქციონ ყურადღება ახალ კურსს სოფლის მუშაობისას და კარგად შეითვისონ გლეხობის საკითხი.

პოლიტგანის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. კ. ბერიძე. მომხსენებელი ეხება სოფლად პოლიტგანის მუშაობის მნიშვნელობას და მოჰყავს მაგალითები, თუ როგორი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სოფლის ქოხ-სამკითხველოებში, რომ ის გადაიქცეს პოლიტ-განმანათლებელ ცენტრად სოფლად.

შემდეგ ის აღნიშნავს მოძრავი კინოს მნიშვნელობას სოფლად და ლაპარაკობს, რომ მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ამხ. ბერიძე შეეხო მომავალი მუშაობის გეგმას. განზრახულია პოლიტ. გან. მუშაკთა მომზადება სოფლისათვის, ქოხ-სამკითხველოს უზრუნველყოფა როგორც იდეურათ, ისე ქონებრივად; საცნობარო მუშაობის გაფართოვება; თვითგანვითარების დარგში მუშაობის გაუმჯობესებას, წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას და სხვა.

საბჭოთა არჩევნების შედეგებზე თბილისის მაზრაში მოხსენებით გამოვიდა ახ. ლადო სუხიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა თუ რა მიზნებს ისახავდა პარტია და ხელისუფლება ამ არჩევნებში, შემდეგ ის შეეხო არჩევნების ჩატარების დროს შემჩნეულ დადებით და უარყოფით მხარეებს.

შემდეგ ამხ. სუხიშვილი შეეხო, თუ როგორია საბჭ. შემადგენლობა,—მაზრა შესდგება 355 სოფლისაგან, სოფელი განაწილებული იყო 254 საარჩ. პუნქტად. მცხოვრებთა რაოდენობა არის 154.837 სული. საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა 43.047 სული, ე. ი. 52,3 პროცენტი. მათ შორის მამაკაცები 28.772 სული—66,7 პროც. და დედაკაცები 33,3 პროცენტი—14.325. საბჭოებში ჩვენ გვყავს 1.574 დელეგატი, მათ შორის 8,9 პროც. დედაკაცი. მათში კომპარტიის წევრები და კანდიდატები 20,60, კომკავშირელები 5,8 პროც., უპარტიო 70 პროც.

შ. ჩხაიძე.

მკერავთა უჯრედი

ეს უჯრედი აერთიანებს 77 ამხანაგს. აქედან 15 კანდიდატია; ქალი ამათში 21. კრებები იმართება თვეში ორჯერ. უჯრედის ღია კრებებს ესწრებიან უპარტიონიც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საკითხების გარჩევაში.

უჯრედს გამომუშავებული აქვს გეგმა და ამ გეგმის მიხედვით აწარმოებს მუშაობას.

კომ. კავშირთან მჭიდრო კავშირის დაკავების და ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით გამოყოფილი გვყავს ცალკე კომისია.

თებერვალში რაიონულ კომიტეტის დადგენილებით ხსენებულ უჯრედზე მიმაგრებულ იქნა წითელ-არმიის უჯრედი.

ამ უჯრედების პირველი ღია კრება მოხდა 12 მარტს. დღის წესრიგში იდგა საკითხი თვითმპყრობელობის დამხობის 9 წლის თავის შესახებ და სხ. კრება ცოცხლად ჩატარდა. მუშები და წითელ-არმიელებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საკითხების გარჩევაში. გამოითქვა სურვილი ხშირად იმართებოდეს ასეთი გაერთიანებული კრებები.

ჯავახოვი.

მებრძოლის ხსოვნას

19 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე ჩვენ რიგებს გამოაკლდა თავდადებული მებრძოლი ამხ. კოზმა გურგენიძე [illegible].



ის დაიბადა და აღიზარდა ღარიბი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ ბავშვი, 17 წლის, 1918 წელში ის ებმება სურების ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და იწყებს რევოლიუციონურ მუშაობას.

1921 წლის შემდეგ ის დანიშნულ იქნა შუასურების თემის მასწავლებლად, სადაც ერთსა და იმავე დროს ასრულებდა სხვადასხვა გვარ საზოგადოებრივ დავალებებს. მისი მთავარი ყურადღება მიმართული იყო სოფელში ქურდ-ბაცაცებისა და სოფლისათვის მავნე ელემენტების გამოსწორებაში. მან 1922 წელს შუასურებში ჩამოაყალიბა ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ ის გადმოვიდა თბილისში. ამ უკანასკნელ დროს ის მსახურებდა საუწყებო მილიციის უფროს თანამშრომლად. 19 მარტს მოულოდნელმა შემთხვევამ ის გამოგტაცა ხელიდან, ის მოყვა უცაბედად თავის სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს მატარებელს ქვეშ.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა ჯანით და ღონით სავსე მებრძოლი ახალგაზრდა ამხანაგი.

მშვიდობით ამხ. კოზმა. შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება შენი ამხანაგებისათვის.

კ. ტრაპაიძე.

ამხ. ნარიმანოვის, მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მაგილევსკის მოსაგონარი სამგლოვიარო სხდომა

გუშინ, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, შესდგა ამხ. **ნარიმანოვის, მიასნიკოვის, ათარბეკოვის** და **მოგილევსკის** და ამ უკანასკნელ სამ ამხანაგთან დაღუპულ მფრინავების შპილისა და საღირაძის ხსოვნის აღსანიშნავი სამგლოვიარო სხდომა.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ესტრადა სამგლოვიაროთაა მორთული. კედელზე შავ არშიებში მოსჩანდა ამხ. ნარიმანოვის და ტრაგიკულად დაღუპულ სამი ამხანაგის სურათები.

სრულ 7 საათზე პრეზიდიუმის ადგილს იჭერენ ამხ. **მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ელიავა, ორჯონიკიძე, კახიანი, ნაზარეტიანი, კარინიანი, ლუკაშინი, აღამალი-ოღლი, გუსეინოვი** და სხვ. პასუხისმგებელი ამხანაგები.

სამგლოვიარო სხდომა გახსნა ამხ. **სერგო ორჯონიკიძემ.**

— დღევანდელი სხდომა,—სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ,—მიძღვნილია ამხ. ნარიმანოვის და ტრაგიკულად დაღუპულ მიასნიკოვის, ათარბეკოვის, მოგილევსკის, შპილისადმი. სწორედ ერთი წლის ხსოვნისადმი. სწორედ ერთი წლის წინ მივაბარეთ საფლავს ჩვენი ძვირფასი სამი ამხანაგი, ხოლო ორიოდე დღის წინ, მოსკოვის კრემლის კედელთან დავასაფლავეთ ამხ. ნარიმან ნარიმანოვი.

მე არ შევუდგები ამ ამხანაგების დახასიათებას. ძნელია, საერთოდ, პოლიტიკურ მოღვაწის დახასიათება გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, მით უმეტეს, ძნელია ჩემთვის ამ ამხანაგების დახასიათება, რომლებთანაც ერთად მე არა ერთი და ორი წელი მიმუშავნია, რომლებთანაც არა ერთი და ორი მძიმე ბრძოლები გადამიტანია. ვიტყვი მხოლოდ, რომ დაკარგულმა ამხანაგებმა მთელი სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასის კეთილდღეობას... ჩვენთვის დიდი დანაკლისია ამ ამხანაგების დაკარგვა. ამიერ-კავკასიის პირობებში, იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა, ეს ამხანაგები დაუფასებელი იყვნენ.

ამხანაგი ალიოშა მიასნიკოვი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმობას, რომლებმაც შექმნეს ა.-კ. სოც. ფედ. რესპუბლიკა. მისი დროშა იყო ამიერ-კავკასიის ერთა მშრომელების ძმობა. მის დროშაზე ეწერა: როგორი განწყობილებაც არ უნდა იყოს ამიერ-კავკასიის ერთა ზედა ფენებში, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც შესძლებს ამ ერების მშრომელთა ძმობის დარღვევას.

დიდება ამ ამხანაგებს! დავსდოთ ფიცი, რომ ჩვენც შევეწირებით იმ საქმეს, რომლისთვისაც თავგამოდებით იბრძოდენ, რომელსაც შეეწირენ ჩვენი ძვირფასი ამხანაგები. ისინი ბრძოლაში მოკვდენ.

დეე, აქ ეხლა გაისმას არა სამგლოვიარო ჰიმნი, არამედ პროლეტარიატის ბრძოლის მედგარი მარში (მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

ამხ. სერგო ორჯონიკიძის შემდეგ ილაპარაკეს ამხ. **მიხა ცხაკაიამ, აღამალი-ოღლიმ, ფილიპე მახარაძემ, კარინიანმა, გუსეინოვმა, ლუკაშინმა** და **ხანოიანმა.** ორატორებმა დაახასიათეს დაღუპულ ამხანაგების მოღვაწეობა და ხაზი გაუსვეს მათ დამსახურებას ამიერ-კავკასიის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების და ეროვნული მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

სამგლოვიარო სხდომა დაიხურა 9½ საათზე.

სასოფლო მეურნეობა

ბამბის თესლის დამზადება

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა შეიმუშავა ბამბის თესლის დამზადების გეგმა. სათესლე მასალის დამზადება იწარმოებს განჯის საცდელ-სელექციურ სადგურზე.

ამ სადგურში სწარმოებს სხვადასხვა ხარისხის თესლის გამოცდა, შერჩევა და გამრავლება. ამიერ-კავკასიის სხვადასხვა მეურნეობებში თესლის გამრავლება იწარმოებს სპეციალურ პუნქტებში, საიდანაც მასიურ გასამრავლებლად გაიგზავნება სელექციურ მეურნეობებში; ასეთებია—აზერბეიჯანში საბჭოთა მეურნეობა ყარა-ჩალა, ნახიჩევანის მხარეში—ამხ. ბუნიატ-ზადეს სახელობის საბჭოთა მეურნეობა და სომხეთში—საბჭოთა მეურნეობა არაზდაიანი.

საქართველოში ბამბის თესლის გამრავლება ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი; ამის შესახებ ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

მიმდინარე წელში განჯის ცენტრალურ სადგურზე დამზადებული იქნება დაახლოვებით 500 ფუთი გაუმჯობესებული სათესლე მასალა. ის გამრავლების ყველა სტადიებს გაივლის რამოდენიმე წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გაუმჯობესებული თესლი მიღებული იქნება ხმარებაში ამიერ-კავკასიის მებამბეობის ყველა რაიონებში.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ მარტის დამდეგს უცხოეთიდან მიიღო „საკკა“-ს სისტემის—სამი სხვადასხვა ხარისხის 406 გუთანი.

გუთნები ურიგდება გლეხებს საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით. პირველ ხარისხის გუთანი გლეხებს ეძლევათ ადგილობრივ 35,4 მანეთად, მეორე ხარისხის—35 მანეთად და მესამე ხარისხის—31,6 მანეთად. გუთნის მიღების დროს გლეხი იხდის ღირებულების 20 პროცენტს, დანარჩენ ფასს იხდის ორ ვადაზე იმ პირობით, რომ ვალი გასტუმრებულ იქნეს 1927 წლის ნოემბერში. ბანკის ქუთაისის განყოფილებაში ჯერჯერობით შემოსულია 12 განცხადება 1240 გუთნის შესახებ.

დიდი მოთხოვნილებაა, გლეხებში აგრეთვე ვერმორელის სარწყავ აპარატზე, რომლის დიდ ნაკლებობასაც განიცდის მთელი დასავლეთი საქართველო.

ჭიათურის კონცესია და მენშევიკური ლეგენდა

მენშევიკების საზღვარ-გარეთელ არალეგალურ ჟურნალ „ბრძოლა“-ში მოთავსებულია წერილი ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ, სადაც საქართველოს ყოფ. მენშევიკურ მთავრობის ფინანსთა ექსმინისტრი **კ. კანდელაკი** ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჭიათურის კონცესია საზარალოა საქართველოსათვის, რომ ის გროშის ფასად არის გაცემული, რომ „რუსეთის საქართველოზე ბატონობის იდეას თუ შეეწირა მსხვერპლად ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი დოვლათი, თორემ სხვა არაფერი. გარდა უსაზღვრო ზარალისა ამ კონცესიიდან არ ჩანს და არამც თუ ჩვენი ხალხისათვის, თვით საბჭოთა ხაზინისათვისაც“-ო.

ასეთი უარყოფითი დაფასება ჭიათურის კონცესიისა სავსებით ბუნებრივია ისეთი კაცისაგან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ყოველივე ახალ აქტს, თუ ის მეტადრე ხელსაყრელი და სასარგებლოა ხალხისათვის, ისე უყურებს, როგორც ახალ ლურსმანს, მის კუბოზე დარტყმულს. საბჭოთა საქართველოს ყოველივე მოქალაქემ წინდაწინვე იცის, რომ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის ყოფილ მინისტრისაგან საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობაზე მიუდგომელი მსჯავრის გაგონება შეუძლებელია და ამიტომ ასეთი მსჯავრი არცაა მისთვის საინტერესო. კ. კანდელაკის არგუმენტაციაში, რომლითაც მას უნდა ასე „გააპუსტიაკოს“ ჭიათ. კონცესიის მნიშვნელობა საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის, საინტერესოა ის არა რეალური და უანგარიშო მიდგომა დიდი საკითხებისადმი, რომელიც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს მენშევიკების ყოფილ ბელადებისას. მსგავსად დამთვარიანებულისა, სომნამბულიზმის სენით შეპყრობილისა, ისინი მოკლებული არიან უნარს რეალურ პირობების მიხვედრისას, ირგვლივ ფაქტების დანახვისას და მათ მიერ შეთხზული ზღაპრები და ოცნებები სრულ სინამდვილეთ მიაჩნიათ. სხვა ზღაპრებისა და ლეგენდათა შორის, რომელიც ასე მრავლათ შექმნეს მენშევიკების ბელადებმა თავის თავზე და თავის მართვა-გამგეობაზე, მათ ჭიათურის შავი-ქვაც ლეგენდარულ ქვათ გამოაცხადეს, რომელსაც არც ბადალი ჰყავს და არც კონკურენტი მთელ დედამიწის ზურგზე, რადგან ის, როგორც ღმერთი, ერთადერთია ქვეყნიერებაზე!

აკრიტიკებს რა საქ. კომ. პარტიის ცეკას თეზისებს კონცესიის შესახებ, სადაც ნათქვამია: „კონცესიით გაცემა დასაშვებია სახალხო მეურნეობის ისეთი დარგის, რომელიც ან სრულიათ არ საჭიროებს ჩვენი წარმოება და მისი პროდუქცია მთლად საზღვარ გარეთ იგზავნება, ან და ეს დარგი იმდენათ მდიდარია ჩვენს კავშირში, რომ შინაგან საჭიროებას სჭარბობს და ზედმეტის კონცესიით გაცემა შესაძლებელია“, კანდელაკი ამბობს: „არც კერძო მრეწველობაში, არც სახელმწიფო მეურნეობაში ასეთი პრინციპით ჯერ არსად უხელმძღვანელებიათ. გონიერი მრეწველი, მაგ.: **ხელს უჭერს და ძვირათ აფასებს არა** იმას, რაც მხოლოთ მას ესაჭიროება, არამედ იმას, რაც მყიდველისათვის არის საჭირო და აუცილებელი და **თუ მასთან არ იყიდა, სხვასთან იმას ვერ იშოვის; კონკურენციის, ზარალის ასეთ შემთხვევაში მას არ ეშინია, რადგან მისი მდგომარეობა არის მონოპოლიური“...**

„რუსეთსა და საქართველოს თითქმის ყოველგვარ ნაწარმოებში ჰყავს მსოფლიო ბაზარზე **კონკურენტები,** არ ჰყავს მხოლოთ მარგანეცში,“ განაგრძობს კანდელაკი.

კ. კანდელაკის აზრით ჭიათურის შავ-ქვას მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს მსოფლიო ბაზარზე. მყიდველი სხვა მარგანეცს ვერ იშოვის, თუ არა ჭიათურისას, მას კონკურენტი არ ჰყავს; რაც უნდა ძვირათ დააფასო ის, მაინც ჭიათურის ქვას იყიდიან, მეტი გზა არა აქვთ, ამიტომ რა საჭიროა მისი კონცესიით გაცემა.

მართალია ყველაფერი ეს, თუ ზღაპარი?

ავიღოთ ომის წინა წლები და გადავავლოთ თვალი შავი ქვის მსოფლიო ექსპორტს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ ხმარობენ მას.

9 წლის განმავლობაში 1904 წლ. ვიდრე 1913 წლ. გაზიდულ იქნა:

ისპანია-პორტუგალიიდან	357.921 ტ.
საბერძნეთ-ოსმალეთიდან	210.644 „
ბრიტ. ინდოეთიდან	4.899.046 „
ჩილიდან	6.045 „
ბრაზილიიდან	2.033.742 „
კოლუმბიიდან	20.000 „
კუბიდან	94.193 „
რუსეთიდან	585.179 „
სხვა ქვეყნებიდან	91.882 „
საქართველოდან	4.672.698 „
სულ	12.078.003 „

ამ ცნობებიდან ცხადათ სჩანს, რომ ჭიათურის შავ-ქვას, თუმცა საპატიო ადგილი უჭირავს აღნიშნულ ცხრა წლის გაზიდულობაში, მაგრამ მონოპოლიურ მდგომარეობაზე შორს არის. 12.078.000 ტონიდან ჭიათურაზე მოდის 4.670.000 ტონა, ანუ 33,7 პროც. მთელი გაზიდულობისა, ბრიტანეთის ინდოეთზე 40,5 პროც., ბრაზილიაზე 16,8 პროც.

ჭიათურას მეორე ადგილი უჭირავს, ინდოეთს პირველი. ჭიათურის შავი ქვის არამონოპოლიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ცხადჰყოფს ომისა და ომის შემდეგი პერიოდი.

9 წლის განმავლობაში—1914—1922 წლ. გაზიდულ იქნა ჭიათურიდან საზღვარ-გარეთ:

1914 წ. (პირველი 6 თვე ომის დაწყებამდე)	689.000 ტ.
1915 „	0
1916 „	0
1917 „	0
1918 „	32.000 „
1919 „	5.355 „
1920 „	173.160 „
1921 „	24.880 „
1922 „	165.800 „
სულ	1.090.195 ტ.

ამ ხნის განმავლობაში შავი ქვის მოხმარება მსოფლიოში, გამოკლებით რუსეთისა, უდრიდა 12.883.740 ტ. აქედან საქართველოდან გატანილ იქნა მხოლოდ 1.090.195 ტონა, ანუ 8,4 პროც., დანარჩენი 91,6 პროც. დაფარეს სხვა ქვეყნებმა.

ამგვარათ, აღნიშნულ 9 წლის განმავლობაში ჭიათურის ქვა ან სრულებით არ იღებს მონაწილეობას მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, სახელდობრ ომის წლებში—1915, 1916 და 1917 წ.—ან, თუ იღებს, მეტად მცირე პროცენტით (8,4 პროც.). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომი არ შეწყვეტილა, ფოლადის წარმოება მაინც არ შეჩერებულა, თუმცა ფოლადის გამომუშავება ამ წლებშიაც, როგორც წინათ, ხდებოდა მარგანეცის საშუალებით. ეს შესაძლებელი შეიქნა იმიტომ, რომ ჭიათურის შავ-ქვას მხოლოდ კ. კანდელაკის თავში უჭირავს მონოპოლიური მდგომარეობა, სინამდვილეში კი მას მუდამ ჰყავდა კონკურენტები, და ომის დაწყების შემდეგ მათი რიცხვი უფრო გაიზარდა.

ომის წინ 1904 წლ. ვიდრე 1914 წლამდე მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნებისა შავი-ქვის მსოფლიო დამუშავებაში შეადგენდა:

1) საქართველოსი — მაქსიმუმი (1913 წ.) 954.645 ტონა, ანუ 39,61 პროც., მინიმუმი (1908 წ.)—112.177 ტონა, ანუ 7,62 პროც.; საშუალო 10 წლ. განმავლ.—533.701 ტ.

2) ბრიტანეთის ინდოეთის—მაქსიმუმი (1908 წ.)—898.335 ტ., ანუ 45,12 პროც., მინიმუმი (1904 წ.)—150.297 ტ., ანუ 13,49 პროც.; საშუალო 10 წლ. განმავლ.—568.667 ტ.

3) ბრაზილიის — მაქსიმუმი (1904 წ.)—254.170 ტ., ანუ 18,79 პროც., მინიმუმი (1913 წ.)—154.870 ტ., ანუ 6,78 პროც.; საშუალო 10 წლ. განმავლ.—205.026 ტ.

ომის დაწყების შემდეგ—1914 წლ. ვიდრე 1923 წლამდე:

1) საქართველო—მაქსიმუმი (1914 წ.)—652.355 ტ.—35,63 პროც., მინიმუმი (1921 წ.)—0; საშუალო 8 წლ. განმავლ.—192.813 ტ.

2) ბრიტანეთის ინდოეთი—მაქსიმუმი (1920 წ.)—711.424 ტ.—65.87 პროც., მინიმუმი (1915 წ.)—450.416—32,35 პროც.; საშუალო 8 წლ. განმავლ.—601.626 ტ.

3) ბრაზილია—მაქსიმუმი (1917 წ.)—524.291 ტ.—30,95 პროც., მინიმუმი (1914 წ.)—180.679 ტ.—9,86 პროც.; საშუალო 8 წლ. განმავლ.—360.459 ტ.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ ჭიათურის შავი-ქვის ამოღება თავის უმთავრეს კონკურენტებთან შედარებით (ინდოეთი და ბრაზილია) ომის წინა წლებში შეადგენდა საშუალოდ 533.701 ტონას, ანუ 40 პროც. ამ სამივე ქვეყნის საშუალო ამოღებისას, ომის შემდეგ კი ის დაეცა 192.813 ტონამდე, ანუ 16 პროც., ე. ი. ორნახევარჯერ; ამავე დროს ინდოეთის ქვის ამოღება გაიზარდა 568.667 ტონიდან 601.626 ტონამდე, ანუ პროცენტებში—43-დან 52-მდე. ბრაზილიის კი—205.026 ტონიდან 360.459 ტონამდე, ანუ 15,5 პროცენტიდან 31 პროცენტამდე, ე. ი. ორჯერ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომის დაწყების შემდეგ, როცა ჭიათურა მოსწყდა მსოფლიო ბაზარს, ინდოეთმა და ბრაზილიამ, ისარგებლეს რა ამით, ისე გააფართოვეს თავისი წარმოება, რომ შესძლეს თითქმის სავსებით შეევსოთ ჭიათურის შავი-ქვის დანაკლისი მსოფლიო ბაზარზე.

ამას გარდა ამერიკამ, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მარგანეცის მომხმარებელთა შორის, ამავე დროის განმავლობაში 25-ჯერ გაადიდა თავის დაბალ ხარისხის ქვის ამოღება, ასწია რა ის 55.000 ტონადან 1913 წელში 1.200.000 ტონამდე 1918 წელში და მით დაიკმაყოფილა 62 პროცენტი თავის მოთხოვნილებისა. ჭიათურის მარგანეცის გამოდევნა მსოფლიო ბაზრიდან ამით კიდევ არ გათავებულა. „ოქროს ნაპირის“ სახით (აფრიკაშია), სადაც შავი-ქვა პირველად 1914 წელში აღმოაჩინეს, ჭიათურას მოევლინა კიდევ ერთი მრისხანე მტერი. ეს მადანი, როგორც რაოდენობით, ისე თავისი ღირსებით, ერთი საუკეთესოთაგანია, შეიცავს 42 პროცენტიდან 53 პროცენტამდე ლითონს, დასამუშავებლადაც ადვილია და ახლოა ნავთსადგურთან, რკინის გზაც გაყვანილია. მუშაობას შეუდგენ 1916 წ., როცა ამოიღეს 4.258 ტონა. თუ როგორი ჩქარი ტემპით ვითარდება „ოქროს ნაპირზე“ წარმოება, სჩანს იქიდან, რომ 1923 წელში მარგანეცის ამოღება იქ ავიდა 139.634 ტონამდე, 1924 წ. კი ეს რაოდენობა ერთი ორად გაიზარდა და შეადგენდა უკვე 255.847 ტონას.

იმ ქვეყნებს, სადაც ახლად აღმოაჩინეს მარგანეცი, უნდა მივუმატოთ აგრეთვე ეგვიპტე, სადაც ქვის ამოღება პირველად დაიწყეს 1920 წელში. წარმოება იქ ვითარდებოდა შემდეგნაირად: 1920 წ.—73.316 ტონა, 1921—54.180 ტ., 1922 წ.—102.469 ტ. და 1923 წ.—130.156 ტ. სულ ყველა ზემო მოყვანილ ცნობებიდან სავსებით მტკიცდება ის, რომ ჭიათურის ქვა არ არის მონოპოლისტი მსოფლიო ბაზარზე. მას ომის წინათაც ჰყავდა ძლიერი კონკურენტები ინდოეთისა და ბრაზილიის სახით და ომის დაწყების შემდეგ ძველ კონკურენტებს კიდევ ახლებიც მიემატენ—ეგვიპტე და „ოქროს ნაპირი“, განსაკუთრებით უკანასკნელი.

ეს კონკურენტები საშიში არიან ჭიათურის მარგანეცისათვის არა ბუნებრივი სიმდიდრით და თავისი მადნის ღირსებით,—ამ მხრივ ჭიათურის ქვა თუ არა სჯობნის, არ ჩამორჩება მათ, არამედ მათ წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალის რაოდენობით, დამუშავებისა და ტრანსპორტის გაუმჯობესებული ტეხნიკით და უკეთ მოწყობილი გასაღების ბაზრით.

ლაპარაკი ჭიათურის შავი-ქვის მონოპოლიური, უმეტოქეო მდგომარეობის შესახებ ლეგენდაა, შეთხზული კ. კანდელაკის მიერ იმისთვის, რომ ვინმე მოატყუილოს, შეცდომაში შეიყვანოს და საბჭოთა ხელისუფლებაზე ძვირი ათქმევინოს. ნამდვილად კი კანდელაკი მხოლოდ თავის თავს იტყუილებს, საქართველოს მეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვან აქტს—ჭიათურის მარგანეცის კონცესიით გაცემას—ბავშვურად, რეალურ პირობების ანგარიშგაუწევლად უდგება, რის შემდეგ ბუნებრივი და ლოღიკურია, რომ მას კონცესიის მნიშვნელობა და მისი მთავარი აზრი სრულებით ვერ გაუგია.

რაში გამოიხატება ჭიათურის კონცესიის მთავარი მნიშვნელობა?

საქონლის წარმოების სფეროში ბაზრის, გასაღების საკითხი—გადამწყვეტი მომენტია. არსებობა რომელიმე წარმოებისა, მისი შემოსავლიანობის ოდენობა, ამ წარმოების განვითარება და გაფართოვება დამოკიდებულია, პირველად ყოვლისა, იმაზე, აქვს თუ არა საქონელს ბაზარი და თუ აქვს,—რამდენად დიდი და უზრუნველყოფილია ის.

თუ ბაზარი ვიწროა და სადავო, შემოსავალიც ცოტაა და საეჭვო. თუ გასაღება დიდია და უზრუნველყოფილი, შემოსავალიც დიდია და უზრუნველყოფილი.

ჭიათურის კონცესიის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჭიათურის შავი-ქვის **დიდი რაოდენობით გასაღება უზრუნველყოფილია** კონცესიონერის მიერ. უზრუნველყოფილია არა ქაღალდის ნაკუწით, არამედ დოლარებით. თუ კონცესიონერმა ბაზრის ცუდი კონიუნქტურის გამო ვერ გაიტანა და ვერ გაჰყიდა ქვა, სულ ერთია, ის მაინც იხდის მთავრობის სასარგებლოდ ხელშეკრულებით დაწესებულ გადასახადს—4 დოლარს, ანუ 8 მანეთს ტონა ქვაში და 9 დოლარს, ანუ 18 მანეთს ტონა პეროქსიდში.

უზრუნველყოფილია აგრეთვე ქვის შეუწყვეტელი ამოღებაც და დამუშავება.

თუ კონცესიონერმა რაიმე მოსაზრებით არ ამოიღო ქვა იმ რაოდენობით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით, თვითეულ არამოღებულ ტონაში ის იხდის 5 დოლარს ჯარიმას.

როგორია ის რაოდენობა მარგანეცისა, რომლის გატანა და გასაღება ვალდებულებად აწევს კონცესიონერს?

ხელშეკრულების ძალით კონცესიონერი ვალდებულია კონცესიის ვადაში, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, ამოიღოს, დაამუშავოს და გაიტანოს საზღვარგარეთ გასაყიდად არა ნაკლები 16.000.000 ტონასი, ე. ი. საშუალოთ, არა ნაკლები 800.000 მშრალი, ანუ 910.000 ჩვეულებრივი ტონა ქვისა წელიწადში.

ეს მინიმუმია, რომლის გაზიდვა უზრუნველყოფილია ქონებრივად კონცესიონერის მიერ.

თუ რამდენად დიდია ეს მინიმუმი, ცხადი ხდება შემდეგი ცნობებიდან:

ომის წინ—1904 წლიდან ვიდრე 1913 წლამდე, ე. ი. 9 წლის განმავლობაში, შავი-ქვის მსოფლიო ექსპორტი უდრიდა 12.078.003 ტონას, აქედან ჭიათურის ქვა შეადგენდა 4.672.698 ტონას, ანუ წელიწადში, საშუალოდ, 519.000 ტონას, ე. ი. 38,7 პროცენტს მთელი ექსპორტისას.

ომის დაწყების შემდეგ—1914 წლ. ვიდრე 1923 წლამდე, ე. ი. 9 წლის განმავლობაში მსოფლიო ექსპორტი უდრიდა 10.008.523 ტონას, აქედან ჭიათურის ქვაზე მოდის 1.090.195 ტონა, ანუ წელიწადში 122.000 ტონა, ე. ი. 10,8 პროც.

ამგვარად, კონცესიონერზე ხელშეკრულებით დაკისრებული მინიმუმი ექსპორტისა (910.000 ტონა წელიწადში), საშუალოდ, შეადგენს:

1) ჭიათურის ქვის ომის წინა დროის ექსპორტთან შედარებით (519.000 ტონა წელიწადში) თითქმის ორჯერ მეტს—175 პროც.;

2) მსოფლიო ექსპორტთან შედარებით იმავე ომის წინა პერიოდის მიხედვით (1.342.000 ტონა წელიწადში, საშუალოდ)—68 პროც.;

3) მსოფლიო მოხმარებასთან შედარებით, იმავე ომის წინა პერიოდის მიხედვით (1.759.000 ტონა, საშუალოდ, წელიწადში)—51,7 პროც.

თუ ამ მინიმუმს ომის შემდეგი პერიოდის ექსპორტთან და მოხმარებასთან შევადარებთ, აღნიშნული პროცენტები კიდევ უფრო მეტად გაიზრდებიან, რადგან მსოფლიო მოხმარებას და ექსპორტს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ომის წინა დროის დონესთვის.

ნათქვამიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: ჭიათურის კონცესიით ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი ქვის ერთი-ორად უფრო მეტი რაოდენობის ამოღება და გასაღება, რაც ნიშნავს სახელმწიფოსა და სახალხო მეურნეობის შემოსავლის ერთი-ორად გადიდებას. ეს არის უმთავრესი მნიშვნელობა ჭიათურის კონცესიის, მისი ცენტრალური ღერძი. კანდელაკი კონცესიის ამ ძირითად პირობას ვერ ამჩნევს, ან განზრახ აფუჩეჩებს და მაშინ, როცა ხელშეკრულების სხვა ნაკლებ მნიშვნელობის მუხლებზე ბევრს და ვრცლად ლაპარაკობს, საექსპორტო მინიმუმზე არც კი სცნობს საჭიროდ შეჩერდეს და მხოლოდ ერთი ფრაზით, ისიც შემცდარით, უნდა მოიშოროს თავიდან ეს, მისთვის არასასიამოვნო მუხლი ხელშეკრულებისა.

ის სწერს: **„იყო წლები,** როცა ჭიათურიდან თამამად გაჰქონდათ იმაზე მეტი ქვა (მაგალითად, 1913 წ.—1.061.730 ტონა), რაც ახლა, როგორც მინიმუმი, დაკისრებული აქვს კონცესიონერს (800.000 ტონა) და მოსახერხებელი იყო მეტის დამზადება და ექსპორტი, თუ ამის მოთხოვნილება იქნებოდა“-ო. ჭიათურის ქვის ექსპორტს 40 წლის ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში, გარდა 1913 წლისა, არ ყოფილა არც ერთი წელი, როცა ჭიათურიდან „თამამად“ გაეტანოთ კონცესიონერზე დაკისრებულ მინიმუმზე მეტი. 1913 წელში მართლაც იქნა გატანილი კანდელაკის მიერ ნაჩვენები რაოდენობა, მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ 1913 წელი იყო ომის დაწყების წინა წელი, როცა ყველა იმპერიალისტური ქვეყნები დღითი-დღე ეპირებოდენ ომის დაწყებას და ამისათვის გაფაციცებით იმზადებდნენ დიდ მარაგს ისეთი საომარი მასალისას, როგორიც არის მარგანეცი. სხვა დანარჩენ წლებში ომის წინა დროში ექსპორტი ჭიათურის შავი-ქვისა ცოტაოდენი მეტნაკლებობით ტრიალებს 500.000 ტონას გარშემო და, საშუალოდ, არ აღემატება 519.000 ტონას. ომის გათავების შემდეგ კი ეს რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება.

დაწყებული 1918 წლიდან და გათავებული 1925 წლ., ე. ი. 8 წლის განმავლობაში, საშუალო რაოდენობა ექსპორტისა შეადგენს 200.000 ტონას.

ყველა მიუდგომელი ადამიანი, რომელსაც სწორი აზრი სწადია გამოსთქვას კონცესიაზე, უნდა გამოდიოდეს საშუალო ციფრებიდან, და არა გამონაკლისიდან. გამონაკლისიდან რაიმე დასკვნის გამოყვანა—თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. თუ კი საშუალო ციფრებს მივიღებთ მხედველობაში, ჭიათურის ქვის ექსპორტის საშუალო ნორმა—500.000 ტონა—ძალიან შორსაა კონცესიონერის მინიმუმიდან—910.000 ტონამდე.

კანდელაკის ის წლები, როცა ჭიათურიდან თამამად გაჰქონდათ იმაზე მეტი ქვა, რაც ახლა, როგორც მინიმუმი, დაკისრებული აქვს კონცესიონერს, ისეთივე ზღაპარია, როგორც მისივე ჭიათურის ქვის მონოპოლიური მდგომარეობა.

ამგვარად, თუ საბჭოთა მთავრობამ მოახერხა ერთი-ორად გადიდება გაყიდულობა ისეთი საქონლის, რომელსაც მუდამ ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება ძლიერი კონკურენტები, და მით ერთი-ორად ასწია საქართველოს სახალხო მეურნეობის შემოსავალი, ნიშნავს ეს თუ არა, რომ მას კარგი და სახეირო საქმე გაუკეთებია? რასაკვირველია, ნიშნავს,—დაგვეთანხმება ყველა, ვინც კი ანგარიშში იცის,—გარდა კ. კანდელაკისა.

(დასასრული იქნება).

ვ. მგალობლიშვილი.

ქორწინებისა, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსის პროექტის შესახებ*)

ეს საკითხი დღეს იუსტიციის სახ. კომისარიატის თაოსნობით ფართო დისკუსიის საგნათ არის გამხდარი. მის გარშემო აქ, თბილისში, კითხულობენ მოხსენებებს და გამართულია კამათი, მაგრამ, სამწუხაროდ, პრესის საშუალებით დისკუსიაში ჯერ კიდევ ნაკლებათ ღებულობენ მონაწილეობას.

საჭირო იყო ამ საგანზე ადგილობრივ პასუხისმგებელ ამხანაგებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ეს საკითხი არ ეხება მარტო თბილისს, მარტო მუშას და ინტელიგენციას, არა, ეს საკითხი უმთავრესად გლეხკაცობის საკითხია და ამისათვის დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო—მისი გადაჭრის დროს.

დისკუსიის ცენტრი უმთავრესად გადატანილია ქორწინების რეგისტრაციის საკითხზე. როგორც მოგეხსენებათ, ქორწინების რეგისტრაცია დღემდის სავალდებულო არის. კოდექსის ახალი პროექტი კი რეგისტრაციას სავალდებულოთ არ ხდის, ე. ი. შესაძლებელია შესრულებული ქორწინება მოქ. მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში არ იქნეს გატარებული. კოდექსის მიერ გათვალისწინებულ შეხედულებას ჰყავს მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. ამ უკანასკნელ კატეგორიას ვეკუთვნი მეც.

ძველ ადათ-ზნე-ჩვეულებების ამოფხვრის საქმეში აჩქარება სარგებლობის მაგივრად ზიანს მოგვიტანს. ეს ნათელყო უხეიროდ ჩატარებულმა წინაწლებში ანტისარწმუნოებრივმა კამპანიამ ჩვენში. აქ საჭიროა სისტემატიური პროპაგანდა-აგიტაცია, ცოდნისა და კულტურის შეტანა ფართე მასაში, დაკვირვებული და გეგმა-შეწონილი მუშაობა. ეს არის ერთად-ერთი საიმედო გზა ხალხის ცრუმეხედულებების და მავნე ზნე-ჩვეულებების მოსასპობად.

ქორწინების რეგისტრაციის საკითხშიც ჩვენ აჩქარება გვეტყობა. ვაცხადებთ—ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის! რისთვის, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას? ან რა ისეთი ბორკილია ქორწინების რეგისტრაცია, რომ მისი დამსხვრევა აუცილებელი შეიქნა?

არ შეიძლება ეს საკითხი მარტო ქალაქის საზომით გადავსჭრათ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე გლეხობა. მეტყვიან—რა შუაშია აქ გლეხობა, მას თუ სურს—არავინ უკრძალავს ქორწინების რეგისტრაციაში გატარებასო. მართალია, არავინ უკრძალავს, მაგრამ როცა რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, ეს ერთნაირ იჭვს ბადებს ახალი ქორწინებისადმი გლეხობაში და შეიძლება ამ იჭვით შეპყრობილმა, მან მთლად გვერდი აუაროს რეგისტრაციას და ისევ ხუცების კლანჭებში ამოყონ თავი, რაც უფრო საზიანოა, ვინემ ქორწინების რეგისტრაციის სავალდებულოთ ალიარება.

„ქორწინების რეგისტრაცია შემოღებულია მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვის გასაადვილებლად“—ამბობს კოდექსის პროექტის პირველი მუხლი.

თუ ქორწინების რეგისტრაცია შემოღებულია მეუღლეთა და შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვის გასაადვილებლად, მაშინ რატომ არ უნდა გავხადოთ სავალდებულოთ ისეთი ღონისძიება, რომელიც აღნიშნულ ურთიერთობის მოგვარებას ხელს უწყობს და აადვილებს. იქნებ კოდექსი გვირჩევს—რეგისტრაციას მხოლოდ მაშინ მიმართონ, როცა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა საჭირო იქნება. სწორედ რომ გვირჩევს და ეს არ არის მიზან-შეწონილი. უკეთესი იქნებოდა ამ ინტერესების დაცვის გასაადვილებლად მეუღლენი მუდამ მზათ იყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში გატარებით ფაქტიურ ქორწინების დღიდან.

საქორწინო ჰასაკი დედაკაცებისათვის ალიარებულია 16 წელი და მამაკაცებისათვის 18 წელი (იხ. მუხლი 3). ეს იმ პირთათვის, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციას მოისურვებენ. მაგრამ რომელი საქორწინო ჰასაკია დაწესებული იმათთვის, რომლებიც რაღაც მოსაზრებით რეგისტრაციაში არ გატარდებიან? ჯერ ხომ ბევრი გვყავს ისეთი „ადამიანები“, რომლებსაც ხშირათ ეფარდებათ ს. ს. კ. 171 და 172 მ. გათვალისწინებული სოციალური დაცვის ღონისძიება? ასეთ არამზადებს ხომ შეუძლიათ ფსიხიური ზეგავლენით მოაჯადოვონ უმწეო მდგომარეობაში მყოფი არა სრულ წლოვანნი და იქონიონ მათთან ხანრძლივი სქესობრივი კავშირი არა დაქორწინების მიზნით, არამედ დროებით თავისი ჟინის მოსაკლავად, და ეს კი მან არა რეგისტრაცია ქმნილ ქორწინების სამოსელში გახვიოს. მე ვამბობ, რომ ეს მოხდება, რასაც შედეგათ მოყვება ბევრის უდროოვოთ დავადება, დაუძლურება და დამახინჯება. მაშასადამე, საქორწინო ჰასაკის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ქორწინების რეგისტრაცია ყველასათვის სავალდებულო იქნება.

„უკეთუ პირს, რომელიც შეიტანს მმაჩის ორგანოში განცხადებას განქორწინების შესახებ, არ აღმოაჩნდება საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ქორწინება გატარებულია რეგისტრაციაში, იგი ვალდებულია მისცეს აღნიშნულ ორგანოს ხელწერილი ქორწინების დროის და ადგილის აღნიშვნით და იკისროს პასუხისმგებლობა მოწოდებულ ცნობების სისწორისათვის“—(მუხ. 96).

როგორც სჩანს განქორწინების დროს საჭირო არის ქორწინების დროისა და ადგილის აღნიშვნით საჭირო ცნობები. რაც შეიძლება ხეჭეო იყოს და მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. აქ მიწოდებული ცნობების სისწორისათვის პასუხისმგებლობა ვერაფერს გვიშველის. როგორ შეიძლება სახელმწიფოებრივი ორგანო, მმაჩი, ზეპირად მიწოდებულ ცნობებს ეყრდნობოდეს და ისე აწარმოებდეს განქორწინების აქტს. აქ აუცილებლად საჭიროა ოფიციალური ცნობა. მაგრამ ყოველთვის ოფიციალურ ცნობას საიდან მიიღებს, როცა ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. ამნაირად, განქორწინების დროს სწორი ცნობების შეკრებისათვისაც ქორწინების სავალდებულო რეგისტრაცია აუცილებელია.

ქორწინების არა სავალდებულო რეგისტრაცია შეიძლება ყოველმა თაღლითმა და არამზადამ ბოროტად გამოიყენოს, სარგებლიანობის თვალსაზრისით დროებითი და შემთხვევითი სქესობრივი კავშირი შეიძლება არა რეგისტრაცია ქმნილ ქორწინებათ მონათლოს და შემდეგ მტკიცება იმისა, რომ ეს დროებითი და შემთხვევითი იყო და არა ქორწინება, მეტად ძნელი საქმე იქნება.

ქორწინების რეგისტრაცია ეს ურთი-ერთ შეთანხმებით შეუღლების დადასტურება არის, საიდანაც ყველასათვის თვალსაჩინოა ფაქტიურ ქორწინების დღიდან დაქორწინებულთა ურთი-ერთ შეთანხმება და სურვილი, რითაც ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებანი და გაუგებრობის შემქმნელი მიზეზები თავიდანვე იქნება აცილებული.

ეხლა შევეხოთ კოდექსის ზოგიერთ მუხლებს.

მუხლი 22. „თუ სასამართლო მამობის საკითხის განხილვის დროს გამოარკვევს, რომ დედას ბავშვის ჩასახვის დროს ჰქონდა სქესობრივი კავშირი ამა კოდექსის 19 მუხლში აღნიშნული პირის გარდა აგრეთვე სხვა პირებთანაც, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც ამ პირთა შორის ერთს სცნობს ბავშვის მამად და დააკისრებს მას წინა მუხლში აღნიშნულ ყველა მოვალეობას.“

ხუ თუ სასამართლოს შეუძლია ასეთ შემთხვევაში ერთ რომელიმე პირს დააკისროს მამობრივი მოვალეობა? მე ვფიქრობ, ეს სასამართლოსათვის შეუძლებელი იქნება. თუ სასამართლოს სხდომაზე გამოირკვევა, რომ ბავშვის ჩასახვის დროს ქალთან რამოდენიმე პირს ქონდა სქესობრივი კავშირი, აბა ერთი მითხარით, რა საშუალებით შეუძლია სასამართლოს მამობა აკუთვნოს ერთ-ერთ პირს. სასამართლო მკითხავობას ხომ არ დაიწყებს, ან ვარაუდათ ხომ არ დაადებს ხელს ერთს რომელიმეს და აიძულებს აიღოს ვალდებულება მამობრივი მოვალეობისა... არა! უმრავლეს შემთხვევაში ეს შეუძლებელი იქნება. ასეთი გარემოების დროს სასამართლო შეცდომებს ვერ აიცილებს, შესაძლებელია მას ნამდვილი მამა ხელიდან გაუძვრეს და სრულიად უდანაშაულოს დააკისროს მამობრივი მოვალეობა. ჩემი აზრით, 22 მუხლში აღნიშნულ გარემოების დროს ბავშვის უზრუნველყოფა თვით სახელმწიფომ უნდა იდვას თავზე.

მუხლი 60. „მეურვე უსასყიდლოთ ასრულებს თავის მოვალეობას. ხოლო თუ ის ქონება, რასაც მეურვე განაგებს, საკმაოდ დიდია, მეურვეობის ორგანოს შეუძლია დაუნიშნოს მეურვეს გასამრჯელო, მაგრამ არა უმეტეს 10 პროცენტისა ქონების შემოსავლიდან.“

მე ვფიქრობ, ამ მუხლში გარკვევით უნდა იყოს მითითებული მაქსიმუმი იმ თანხისა, რასაც კოდექსი „საკმაოდ დიდ ქონებათ“ გულისხმობს. თუ ეს ასე არ იქნება, შეიძლება ბევრი გაუგებრობა და უსიამოვნება დაიბადოს სამეურვეო ორგანოსა, მეურვესა და სამეურვეოთ ასაყვან პირს შორის.

სამეურვეოთ, ამ მზრუნველობის ქვეშ ასაყვან პირთა ქონება ხშირად 300 400 მანეთს არ აღემატება. შეუძლებელია მეურვეს მიეცეთ უფლება ქონების თითქმის მესამედის განსხვისებისა სამეურვეო ორგანოს ნება დაურთველად, როგორც ამას კოდექსის 93 მუხლის შენიშვნა მიგვითითებს. საჭიროა შენიშვნაში ნაცვლად 100 მანეთისა შეტანილი იქნეს 50 მანეთი.

კოდექსის 69 მუხლი ამბობს, რომ შესაძლებელია მეურვის ან მზრუნველის მოხსნა, თუ ის უფლება-მოსილებას ბოროტათ გამოიყენებსო. არამც თუ მოხსნა, არამედ აუცილებელია ასეთი პირის ს. ს. წესით პასუხისგებაში მიცემა, რაც ამავე მუხლში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, როგორც წინასწარ გამაფრთხილებელი ერთ-ერთი ღონისძიება.

---

*) დისკუსიის წესით.

რედ.

პროფკავშირებში

წინანდალის საკავშირთაშორისო სამდივნოს მუშაობა

21 მარტს შესდგა ს. წინანდალში საკავშირთაშორისო სამდივნოს გაფართოვებული პლენუმის თათბირი. პლენუმს დაესწრნენ წარმომადგენლები წინანდალის რაიონის განაპირა სოფლებიდანაც.

სამდივნოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამდივნოს ბიუროს თავმჯდომარემ პ. ჩაჩიბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკავშირთაშორისო სამდივნო თელავის მაზრაში დაარსებულია ორი; წინანდალში და ნაფარეულში, სადაც სხვადასხვა კავშირები მოიპოვებიან და კავშირების წევრთა რიცხვიც მეტია.

ამ ორ ადგილას სამდივნო დაარსებულია საცდელად. თუ როგორ შედეგებს მოიტანს სხვადასხვა კავშირების გაერთიანება ერთ სამდივნოში და თუ ამ ორ ადგილას დადებითი შედეგები მოგვცა ამ ცდამ, ცხადია, რომ სხვა ადგილებშიაც მოხდება გაერთიანება.

წინანდალში საკავშირთაშორისო სამდივნო დაარსებულია 28 ოქტომბერს—1925 წელს. იგი აერთიანებს სამ ადგილკომს და ერთ მუშკომს. მათში წინანდალის და შაშიანის განათლების მუშაკთა კავშირები, საბჭოთა მუშაკებისა და წინანდალის სახალხო მამულის მიწა-ტყის კავშირს.

სამდივნოში შემავალ კავშირების წევრთა რიცხვი უდრის 252 კაცს. მათში 220 მამაკაცი და 32 ქალია.

სამდივნომ მოაწყო წინანდალის სახალხო მამულის მუშებში პროფ-წრე, რაზედაც პირველად სისტემატიურად დადიოდენ და ისმენდნენ მოხსენებებს პროფმოძრაობიდან, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრმა თავი მიანება პროფ-წრის მეცადინეობას, ვინაიდან მუშები მამულში მუშაობის დამთავრებისას მიეშურებიან თავიანთ კერძო მამულებში სამუშაოდ. სამდივნოს ხელმძღვანელობით გამოდის ს. წინანდალში ორ კვირეული კედლის გაზეთი. სისტემატიურად ყოფილა მოწვეული სამდივნოს ბიუროს სხდომები.

პლენუმმა აღნიშნა ნაკლულევანებანი სამდივნოს მუშაობისა, რაც გამოწვეულია არა სამდივნოს შემადგენლობით და გულგრილობით, არამედ უსალსრობით და განსაკუთრებით ზოგიერთ სოფელში ინტელიგენციის განზე დგომით, როგორც თვით ს. წინანდლის მასწავლებლობა, რომელიც სრულიად უმოქმედობას იჩენს საბჭოთა აღმშენებლობითი და კულტურული მუშაობის წარმოებაში.

საკავშირთაშორისო სამდივნოს სალსრებს შეადგენს სხვადასხვა კავშირების შემოსავლიდან გამორიცხული 10%-იანი ანარიცხები. მაგრამ ზოგიერთი კავშირები დროზე ვერ იხდიან ანარიცხებს. მაგალითად: განკავშირს ორი თვისა არ გადაუხდია, საბჭოთა მუშაკების კავშირს კი—სამი თვის; ეს მოვლენა გამოწვეულია ჯამაგირების დაგვიანებითი მიღებით. უსალსრობა კი სამდივნოს მუშაობას აფერხებს.

პლენუმმა მიუთითა სამდივნოს ამ ანორმალობას ებრძოლოს და დროზე მოხდეს, როგორც ჯამაგირების მიღება, ისე კავშირების შემოსავლიდან 10% ანარიცხების სამდივნოში გადარიცხვა.

პლენუმის თათბირზე გამოირკვა საკავშირთაშორისო სამდივნოში შემავალ კავშირების მდგომარეობაც. ყველაზე დიდს და ძლიერ კავშირს წარმოადგენს წინანდალის სახალხო მამულის მიწა-ტყის კავშირი, სადაც ირიცხება 116 წევ. მათში ორი ქალია, მუშები ყველანი დაზღვეულნი არიან.

მამულს მეკოდე შეგირდები არ ჰყავს აყვანილი, გარდა თვით ოსტატ მეკოდეებისა, რომლებსაც ჰყავთ აყვანილი პირობის წერილობით. მუშებისთვის არის მამულში სამკითხველო და კლუბი. ამ უკანასკნელს მუშკომი შეთანხმებით მამულის გამგესთან ერთად, უპირებს გაფართოვებას, რადგან მით სოფლის მცხოვრებნიც სარგებლობენ და კლუბი კი ვერ იტევს ზედმეტ ხალხს.

მუშები და მოსამსახურენი თითქმის ყველანი იწერენ გაზეთებს. სახალხო მამულის მიწა-ტყის კავშირს აქვს აგრეთვე დაარსებული ურთიერთ დამხმარე სალარო საკუთარი ცალკე გამგეობით. იგი დიდ დახმარებას უწევს ყველას როგორც მუშებს, ისე მოსამსახურეებს. სესხს ორ თვეზე მეტს არ აძლევენ და ოც მანეთს არ აღემატება გაცემულ სესხის რაოდენობა. ამ მოკლე ხნის ფულის ტრიალით ყველას საშუალება ეძლევა ისარგებლოს.

განათლების მუშაკთა ადგილკომი წინანდალის რაიონში ორია,— ერთი თვით ს. წინანდალში და მეორე შაშიანში. კულტურული მუშაობა უფრო ფართოდ სწარმოებს შაშიანის გან. მუშ. კავშირში, მათ ზამთრის პერიოდში წარმოდგენების დადგმით მოუგროვებიათ 180 მან.—და ეს მოუხმარებიათ კლუბისა და სკოლისათვის.

პლენუმმა აღნიშნა, აგრეთვე, კავშირის წევრთა პროფესიონალური მოუმზადებლობა და დაავალა სამდივნოს, რომ ყველა თემებში და კავშირებში დაარსონ პროფ-წრეები წევრთა გათვითცნობიერებისათვის და ესევე მუშაობა გადატანილ იქნას გლეხობის ფართე მასებში.

სამსონ ხუციძე

პროფმუშაობის ქრონიკა

განათლების მუშაკთა კავშირში

— **უმუშევართა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა.** განათლების მუშაკთა კავშირმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია უმუშევართა მატერიალური მდგომარეობის (ყოფა-ცხოვრების) გამოსაკვლევად.

— **ადგილკომების საქმიანობა.** განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ-ბამ საჭიროდ სცნო სამაზრო ადგილკომების საქმიანობის გამოკვლევის მიზნით, გამგეობის მორიგ სხდომაზე მოსმენილი იქნას სამაზრო ადგილკომების წარმომადგენელთა მოხსენებები ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

— **ჟურნალი „განათლების მუშაკი“.** ამავე კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა რეორგანიზაცია უყოს ჟურნალის ძველ სარედაქციო კოლეგიას. ჟურნალის შინაარსის გასაუმჯობესებლად და მშრომელ მასასთან დასაახლოვებლად მიღებული იქნეს ზომები მცოდნე და გამოცდილ თანამშრომელთა შერჩევით და რედაქტორს და მდივანს დაენიშნოს მუდმივი ხელფასი.

— **ლექციები სოფლად.** საჭიროდ და მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სამპროფბიუროსთან პედაგოგიური შინაარსის ლექციების ჩატარება. ამ მიზნით კავშირი მაზრებში აგზავნის პედაგოგ ლექტორებს.

მუშათა ცხოვრება

კვირას, 28 მარტს, გაზ. „კომუნისტი“-ს ბინაზე, კამოს ქ., № 68 (ყოფ. დიდი მთავრის) დანიშნულია გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა გაფართოებული **არაჩვეულებრივი საგანგებო კრება**. ფრიად საყურადღებო საკითხების გამო ყველა მუშკორთა დასწრება კრებაზე სავალდებულოა.

გაწვალებაც ასეთი უნდა
(მედსანშრომის კავშირის საყურადღებოთ)

მყავს ამხანაგი ქალი, მცხოვრები პლეხანოვის გამზ. სახ № 82-ში, უმუშევარი, მედსან-შრომის კავშირის წევრი 1922 წლიდან, ამხ. ნინა თანდაშვილი. ამხ. თანდაშვილი იძულებული იყო მიემართა ყველა დაწესებულებისათვის, რათა მიეცათ მისთვის სამსახური და მასაც გასჩენოდა ცხოვრების წყარო. საწყალი ქალი ყოველმხრივ სცდილობდა, ბევრგანაც ჰქონდა შეტანილი განცხადება, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებდენ. ერთი წლოიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ის წვალობს. ქალი დაიტანჯა, ცდილობს, რაც კი შეიძლება, რომ მოეწყოს სადმე. არ იცის ამ ქალმა, თუ ვის მიმართოს, ვინ დააყენებს მას ადამიანურ წმინდა გზაზე.

ამიტომ ვთხოვთ მედსან-შრომის კავშირს, მიაქციოს ყურადღება ამ სრულიად უმწეო ქალს, რათა მასაც ჰქონდეს ალაგი საზოგადოებაში როგორც პატიოსან ადამიანს და თავის არსებობისათვის მან თავი არ შეიბრალოს.

გულშემატკივარი.

მუშათა ცენტ. კლუბში

3—4 დღის წინ გამოცხადებული იყო ამ კლუბის წინ გამოკრულ აფიშებზე, რომ 17 მარტს რესპ. სახ. მსახიობის **ნიკო გოცირიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „გმირი“-ო.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სახელოვანი მსახიობის სცენაზე თამაში არამც თუ დიდი ადამიანებს, არამედ ბავშვებსაც კი იზიდავს; ამიტომაც ყველა ჩქარობდა ბილეთების ყიდვას, რომ არ გაყიდულიყო და არ ასცდენოდენ ამ იშვიათ და კარგ ქართულ წარმოდგენას!..

ორშაბათს (17 მარტს), საღამოს 8 საათზე გაიღეღა მუშათა კლუბის დარბაზი, უმეტეს ნაწილად ხელებ-დაკოჟრილ და ჯაფისაგან მოქანცული მუშებით, რომელნიც ამ კლუბში ჰპოებენ ხოლმე დასვენებას.

აი, უკვე შესრულდა ცხრის ნახევარი. გაისმა მესამედ ზარის წკრიალიც, რომლის შემდეგაც დაიწყო წარმოდგენა...

სამ მოქმედებიანმა პიესამ ძალიან კარგათ ჩაიარა... უკანასკნელი მოქმედების ფარდის დაშვებისთანავე მქუხარე ტაშით დააჯილდოვა დამსწრე საზოგადოებამ სცენაზე მოთამაშენი და განსაკუთრებით კი უფრო საყვარელი დამსახურებული მსახიობი ნ. გოცირიძე და გიორგი დავითაშვილი, რომელთა გვარებსაც ხმა-მაღლა გაიძახოდენ პატივისცემის ნიშნად.

მშრომელი ხალხი დიდათ კმაყოფილი დაიშალა. ვისურვებთ ასეთი კარგი ქართული წარმოდგენები ხშირად მოეწყოს ამ კლუბის გამგეობას, მშრომელთა განვითარების წმინდა ტაძარში, მუშათა კლუბში.

ლ. მჭედლიშვილი.

შესაფერისად უნდა დაისაჯოს

მოქ. ნიკოლოზ ივანეს ძე ლაზარაშვილი და მისი „ცოლი“ ანნა კარგა ხანი ეწეოდნენ მათთვის საყვარელ ხელობას—„მაჭანკლობას“ და საამისოდ მყუდრო ადგილიც ჰქონდათ გოგოლის ქუჩაზე დარაბა № 1-ში, სადაც თავს იყრიდენ როსკიპი ქალები და ეწეოდნენ ლაზარაშვილის ხელმძღვანელობით სისტემატიურად მეძაობას. 6 მარტს მე-10 უბნის მილიციამ მიაგნო ამ „პატივცემულ“ ცოლქმარის საზიზღარ ბუნაგს და სათანადო კვლევა-ძიების ოქმით ლაზარაშვილი დაპატიმრებული გადასცა მე-6-ე უბნის სახ. გამომძიებელს.

სხვათა შორის ლაზარაშვილი თავის თავს მუშას უწოდებს (რითაც მუშების სახელს ჩირქსა სცხებს) და მართლაც მუშაობს მაგრამ ამავე დროს ამ სამარცხვინო (მაჭანკლობას) ხელობასაც ეწევა.

მუშკორი მილიციელი.

როგორ გამოვასწოროთ ეს ნაკლი?
(განათლების მუშ. ცენტ. გამგ. საყურადღებოთ)

კავშირის წევრთათვის საერთო კრების მოწვევას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამაზე ლაპარაკიც მეტია. ხშირად არის ისეთი საკითხები, რომლის გადაჭრა მარტო ადგილკომის წევრებს არ შეუძლიათ და აუცილებელ საჭიროებას ამისათვის წარმოადგენს კავშირის წევრთა საერთო კრების მოწვევა. თუ წევრები ერთმანეთთან ახლო არიან (მაგალ.: თუ ისინი ერთ დაწესებულებაში იმყოფებიან) მაშინ კრების მოწვევაც ადვილად მოსახერხებელია და თუ ისინი დაშორებული არიან ერთმანეთზე მაშინ აუცილებელი ხდება ერთი საქმიანი დღის გაცდენა, რაც ადმინისტრატიულად არ არის დაშვებული. უქმე დღესაც კანონით კრების მოწვევა აკრძალულია და კიდეც რომ აკრძალული არ იყოს, წევრები საყვედურს გამოსთქვამენ; „უქმე დღე დასვენებისათვის არის“-ო.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს კერძოთ ავჭალა-მცხეთის განათლების მუშაკთა კავშირის რაიადგილკომი, სადაც წევრები ზოგან 30—35 ვერსზე არიან ერთმანეთთან დაშორებული. თავისთავად ცხადია ამ დიდ რაიონზე საერთო კრების მოწვევა უთუოდ საჭიროებს ცალკე დღის გამოყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის საკითხები, რაც კავშირს აინტერესებს, გადაუჭრელი და მიუღებელი დარჩება. ასეთივე მდგომარეობაში არიან სხვა ადგილებიც. საჭიროა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღოს სათანადო ზომები.

შ. ლორთქიფანიძე.

ავიაქიმში.

„ავიაქიმის“ საზოგადოების არსებობის სამი წლის თავის აღსანიშნავად, 8 მარტს, საღამოს 7 საათზე წითელი არმიის და ფლოტის სახლში ნიკოლაევის ქ. № 51 მოწვეული იყო საზეიმო გაფართოებული სხდომა, ყველა „ავიაქიმის“ უჯრედების მდივნების და წევრების.

საზეიმო სხდომას ხსნის საქ. „ავიაქიმის“ საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. აბაშიძე, რის შემდეგ არჩეული იქნა პრეზიდიუმი 5 კაცისაგან.

მოხსენებას აკეთებს ამხ. როზენბლატი, რომელიც ფართოდ აცნობს დამსწრე საზოგადოებას ჰაეროფლოტის ქიმიის მნიშვნელობას და მის მიღწევებს სამი წლის განმავლობაში. მომხსენებელს მრავალიწერილობითი შეკითხვები მისცეს, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველას.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „ავიაქიმის“ საზ-ბას მრავალი მიღწევები ჰქონია მისი არსებობის სამი წლის განმავლობაში.

მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ წარმოდგენილი იქნა „სინიი ბლუზი“. წარმოდგენა კარგად ჩატარდა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

ი. ღლონტი.

გამოგზავნილი წერილები.

— მუშების ამ ჯგუფსაც უნდა მოემატოთ შრომის ხელფასი. რკ.-გზა არის სახელმწიფოს მთავარი ძარღვი. მის მოუწესრიგებლობას მოაქვს აუარებელი ზიანი და ზარალი სახელმწიფო მეურნეობისათვის. მოუწესრიგებელ რკ.-გზებზე ხშირია უბედური შემთხვევები.

ამ უბედური შემთხვევების მთავარ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს რკინის-გზებში გავრცელებული ლოთობა და საქმისადმი გულგრილობა, რომელსაც აქ ადგილი აქვს.

რკინის-გზის მთელი რიგი მუშა-მოსამსახურეებისა, როგორც არიან მეისრეები, დარაჯები, სადგურის უფროსების თანაშემწეები, რომელნიც ძალიან ახლოს სდგანან მატარებელთა მოძრაობასთან, გულგრილად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას და ამას ისინი ხსნიან ხელფასის სიმცირის მიზეზით.

საჭიროა მეტი ხელფასი მიეცეთ მათ და მეტი კეთილსინდისიანობა მოვთხოვოთ.

რკინისგზელი—ამა—კელი.

— **ასეთი ლექციები ხშირად.** ამ დღეებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ექიმმა ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ლექცია ვენერიულ ავადმყოფობათა შესახებ. ლექციას დაესწრო დიდძალი მოწაფეობა. ლექცია გაკეთებულ იქნა მდაბიო გასაგებ ენაზე. თანაც ექიმმა სათანადო დარიგება მისცა მსმენელებს. მადლობა ლექტორს.

ვალი თლლი.

— **მადლობის ღირსნი არიან ასეთი ექიმები.** ხაშურის რაიონიდან კურსებზე ჩამოსული იყო ღარიბი გლეხი თვალით ავადმყოფი ამხ. გაბულია ქიმერიძე. ავადმყოფმა ქიმერიძემ მიმართა ჯანსახკომს. ჯანსახკომმა მას დაუნიშნა ექიმები.—ოპერაცია გაუკეთა ამხ. ნინა შინჩევისამ, ოპერაციას დაესწრნენ და ხელი შეუწყვეს—ტარასი ნიკოლაიშვილმა, თამარა თოფურამ და თაყაიშვილმა. ოპერაცია მეტად ნაყოფიერი გამოდგა და გლეხის ქალი სრულებით მოარჩინეს მუყაითმა ექიმებმა.

მადლობა ყველა მათ!

მუშა კარგი.

— **რას ნიშნავს ეს?** რ. ს. ფ. ს. რ-ის საფეიქრო სინდიკატის მაღაზია უნდა გაიღოს დილის 9 საათიდან და ერთ საათის განმავლობაში უნდა იყიდებოდეს თეთრეული, მაგრამ ეს ასე არ ხდება. სინდიკატის მაღაზია იღება ნახევარი საათით დაგვიანებით და ათ ნახევარ საათზე იკეტება. რასაც მოასწრებენ ნახევარ საათში ჰყიდიან, დანარჩენ მყიდველებს კი (მუშა-მოსამსახურეთ) უარით ისტუმრებენ.

რას ჰგავს ანდა რას ნიშნავს ეს?

მუშკორი ალ. გვიჩაძე.

— **დაიცავით ამ მუშა-ქალის უფლებები.** რკ.-გზის თბილისის ელექტრო სადგურში დარაჯის თანამდებობაზე მსახურობს ქვრივი ქალი ამხ. ეკატერინე სახურიასი, რომელსაც ჰყავს სარჩენი ობლები. მას ჰქონდა გორის მაზრაში სოფ. დიდ გორიჯვარში ერთი პატარა ორ ოთახიანი სახლი. ეს სახლი მას სრულიად უდანაშაულოდ ადგილობრივმა გლეხებმა ჩამოართვეს ამ უკანასკნელ ხანებში. საბრალო ქვრივი დარჩა თითქმის სრულიად უმწეოდ.

ჩვენმა პროკურატურამ უნდა აღადგინოს მუშა-ქალი თავის კანონიერ უფლებებში.

მუშა-კარგი.

საბჭოთა სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

მეშვიდე სხდომა

მოწმეების დაკითხვა გრძელდება. **ლორთქიფანიძე** და **ჰიპაძე** ადასტურებენ, რომ ბრალდებულმა მელიავამ გადასცა შესანახად აფანასიევს ხელწერილი 1000 მანეთის სესხად მიღების შესახებ. მოწმე **ხომასურიძე** აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც 50 მანეთი მისი ხელით უნაფიქოშვილს გაუგზავნია მელიავასათვის. ამ ფაქტს ადასტურებს მოწმე **ლორთქიფანიძეც**. მოწმე **ჩხიკვაძე** დაწვრილებით უამბობს სასამართლოს, როგორ აღმოაჩინა მან „ემსის“ ანგარიშ ქვეშ გაცემულ თანხების ხანგრძლივი გაჩერება, საანგარიშო ნაწილში ყალბი საბუთების შედგენა, რის შესახებ მან თავის დროზე მოახსენა „ემსის“ მაშინდელ გამგეს—აფანასიევს.

მერვე სხდომა

სასამართლომ დაუპირდაპირა ერთი-მეორეს მოწმე **აფანასიევი** და **ჰიპაძე**. ჰიპაძე თავის ჩვენებაში იძლევა სრულ სურათს, ბრალდებულ მელიავას და აფანასიევის მეგობრული განწყობილებისა და მათი შეხმატკბილებული მუშაობის შესახებ და დასძენს, რომ მელიავამ ჩემი თანდასწრებით გადასცა აფანასიევს 1000 მანეთი. აფანასიევი ჰიპაძის ჩვენებას სავსებით უარყოფს. ამით დასრულდა მოწმეების დაკითხვა.

ინჟენერ ხარუპის საქმე

შრომის სასამართლომ ამხ. ულაძის თავმჯდომარეობით დაიწყო ინჟინერ ხარუპის საქმის გარჩევა.

გასული წლის დეკემბრის თვეში ინჟ. ხარუპი იყო ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგურის გერმანიის ფირმის მიერ აღებული სამუშაოს ხელმძღვანელი. ბრალდებული გულგრილათ ეკიდებოდა მოვალეობის ასრულებას და არ უწევდა სამუშაოს ტეხნიკურ ხელმძღვანელობას. ამის გამო არხის ძირის და გვერდების დატინობებისას სასიკვდილოდ დაშავდა სამი მუშა: კელეპტარიშვილი, პაპიაშვილი და კოტეტიშვილი.

ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კ. 160 მუხ.

ბრალს სდებს პროკურორი **ამიროვი**. იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ტატიშვილი**.

სასამართლომ დაასრულა მოწმეების დაკითხვა და მოისმინა ექსპერტების დასკვნა.

განაჩენი

მხარეთა კამათის მოსმენის შემდეგ სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად. ორი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: ინჟ. ხარუპი ცნობილ იქნას დამნაშავედ მასში, რომ ის არ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგურის არხის გაყვანის სამუშაოს და მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

სასამართლომ ბრალდებულს სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა ორი წელი. ბრალდებული დაჯარიმებული იქნა აგრეთვე 1000 მანეთით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მოქალაქე ძაგანაშვილის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით, დაიწყო **საბა ძაგანაშვილის** საქმის გარჩევა.

ძაგანაშვილს ბრალათ ედება შეიარაღებული თავდასხმა და ძარცვა.

ბრალს სდებს პროკურორი გრიგოლია. იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი თოდუა.

სასამართლომ დასაკითხავად გამოიწვია 12 მოწმე.

უსაფუძვლო ეჭვი

თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. **გ. სადაღაშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. თომა მაჭავარიანის საქმე.

მოქ. მაჭავარიანი გასული წლის 15 აგვისტოს შეპყრობილ იყო იჭვით. მას ბრალათ ედებოდა უნივერსიტეტის ქუჩაზე მცხოვრებ ალ. კიკნაძის ბინის გაქურდვა.

სასამართლომ საქმეში არსებულ მასალების განხილვის შემდეგ ბრალდება დაუმტკიცებლად სცნო და მაჭავარიანი გაამართლა.

დღეს, 26 მარტს, საღამოს 6 საათზე
11 სექტემბერს დაღუპულ ამხანაგების სახელობის დარბაზში
მოწვეულია
თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. მაზრის არჩევნების შედეგები.
2. აღმასკომის 1925 | 26 წლის ბიუჯეტის გამართლება.
3. ელსადენის გაყვანილობათა ნორმები.
4. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

პრეზიდიუმი

1—1 ნ. 958

რევოლუციონური ახალი მწერლობა

(რ ა მ)

დეკლარაცია*)

I.

მიმდინარე მომენტი

1. საერთოდ: რევოლიუციონური შესვენება და სოციალისტური მშენებლობა კაპიტალისტურ - იმპერიალისტურ გარემოებაში.
2. ნეპი: ბრძოლა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ ელემენტებისა ჩვენს ეკონომიკაში. უეჭველი ჰეგემონია სოციალისტური ელემენტებისა. მდგომარეობის დროგამოშვებითი რევიზია. რეგულაცია სათანადო მეთოდებით („პირით სოფლისაკენ“ და სხვ.). საერთო გეგმიანობა ქვეყნის ინდუსტრიალურ აღორძინებისა. ყოველ გადადგმულ ნაბიჯის შეფარდება იდეოლოგიურ მოწოდებასთან.

II.

ლიტერატურული სინამდვილე

3. ამავე დროს, ჩვენი სოციალ-ეკონომიურ სინამდვილის იდეოლოგიურ ზედნაშენს, კერძოთ მხატვრულ ლიტერატურას ახასიათებს: ერთი მხრივ რევოლიუციონური და რეაქციონური აქტიური ძალები—მეორეს მხრივ საბოტაჟი საბჭოთა ლიტერატურული აღმშენებლობისა. აქედან უკანასკნელთა „ღრმა აზროვანი“ პატრიოტული დუმილი.
4. **გარკვეული ლიტერატურულ - იდეოლოგიური პოზიციები ქართულ სინამდვილეში არსებითად არ არის.** მომქმედი ლიტძალები დაქსაქსულია. მიდის პერსონალური სპეკულიაცია უნარით თუ უუნარობით. ლიტერატურული ფაქტის ორივე განზომილება ჰონორარია. პასუხისმგებლობა არავის წინაშე.
5. თითო ოროლა წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენტის წვალება ამერიკის აღმოჩენისათვის. მოფილოსოფოსო „ესტეტების“ და მოესტეტო „ფილოსოფოსების“ დილეტანტური ვარჯიში. მეტიჩრული პროვინციალური უაზრო ფრაზების პათეტიკა. მემარცხენეობის გაბანალება და შარჟული „არისტოკრატიზმი“. უცხო ლიტერატურის საეჭვო თარგმანების ასოციაციებით აშენებული „შემოქმედება“ და მამლაყინწური ორიგინალობის მანია. დადა-ფუტურისტული და ურთიერთ შეუთავსებელ სკოლათა პრინციპების კონგლომერატი. გადაგვარებულ ოჯახების გემოვნებებზე ლიტერატურული ორიენტაცია. იდეოლოგიურად დაბნეულ მოფუტურისტო ახალგაზრდების „ყანწური“ უკულტურო ტრადიციების გაგრძელება და ეპიგონობა. **ბოლოს, როგორც ლიტერატურული, ისე პოლიტიკური გაგების მხრივ უბადრუკი რეაქციონურობა და პასეიზმი.**
6. ქართულ აზნაურული კარიკატურული ფსიხიკის კადნიერება იქამდე მივიდა, რომ თანამგზავრობასაც კი უკადრისობს.
7. „კავკასიონის“ უკუდო არწივები თავიანთ შემოქმედებითი იმპოტენტობას შავი ჩოხებით ფარავენ. მათი ლიტერატურული არქაიზმი შინა ემიგრანტულ ლიგებითა და ორდენებით თუ აპირებს გამართლებას.
8. „მცხოვანი აკადემიური“ მნათობები ქართული ლიტერატურისა, თექვსმეტ ფორმის გასაქანზე და 25.000-იანი ჟურნალები საბჭოთა საქართველოში ავრცელებენ იდეოლოგიურ - ლიტერატურულ შეუსაბამობათა უკრიტიკო ნარევს. ასე რომ ყოველი ჯურის „ლიტერატორს“ საშუალება ეძლევა თავისი „ზეშთაგონების“ ნაყოფი მკითხველ აუდიტორიას მიაწოდოს.
9. **ასეთ პირობებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მტკიცე რევოლიუციონური მებრძოლი კრიტიკის პოზიციების შექმნა მათ გასაცხრილავად.** მით უმეტეს, როდესაც საშუალო მკითხველი მასსა ოფიციალურად დასტამბულ ყოველგვარ ლიტერატურას ნდობით ეპყრობა. ეს აიხსნება მისი მმართველ წრეებისა და ხელისუფლებისადმი ნდობით, რომლებიც იდეოლოგიურ სადარაჯოზე ეგულება.
10. მოზარდი ახალგაზრდობის წინაშე პასუხისმგებლობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მათში ლიტერატურული ფაქტებისადმი კრიტიკული მიდგომის განვითარება სათანადო მასალების მიწოდებით.
11. ზოგიერთი ამხანაგები თავიანთ უკვალიფიკაციო პრიმიტიულ შემოქმედებას პროლეტარულ ლიტერატურად სთვლიდენ.
12. მოქალაქენო! პროლეტარული ლიტერატურა უკულტურობას არ ნიშნავს. პროლეტარული რევოლიუციონური ხელოვნება გულისხმობს თანამედროვე კულტურულ მიღწევების გამოყენებით მიზანშეწონილ მშენებლობას.
13. **ქართული ხელოვნების ორგანიული განვითარება და მისი სოციალურ - ეკონომიური საფუძველი ითხოვს აღნიშნულ ქაოსში რევოლიუციონურ ლიტერატურის ერთეულ ძალების იდეოლოგიურ - ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას და გარკვეული პოზიციების შექმნას.**

ლიტერატურის ქაოტიურ მდგომარეობიდან გამოყვანა, და მისი საღი მომავალისაკენ მიმართვა, შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციონურ ახალი მწერლობის მებრძოლი ძალების იდეოლოგიური დარაზმვით.

14. **ამ რიგათ რევოლიუციონური ახალი მწერლობის კოლექტივი, რამ, მოდის ქართული ხელოვნების დიალექტიურ - მატერიალისტურ განვითარების რკინის აუცილებლობით.**

III.

დასკვნა

15. თუ კი ჩვენი სინამდვილის მიმდინარე პერიოდის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ითხოვს იდეოლოგიურად სწორ ხელმძღვანელობას, ხშირ და განუწყვეტელ გადასინჯვას და თვალყურის დევნებას მასში სოციალისტურ ელემენტების ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად,—ცხადია, ასეთივე უნდა იყოს მიდგომა მისი ზედნაშენის, სახელდობრ მხატვრულ ლიტერატურის მიმართაც.
16. **ამიტომ აუცილებლად საჭიროა:** ქართული ლიტერატურის გადაგვარებისაგან გადასარჩენად, მისი საერთო საბჭოთა აღმშენებლობის გეგმიანობასთან შესაფარდებლად, ქართული მკითხველი აუდიტორიის გაუგებრობებისაგან ასაცდენად, ფართო მასიური აუდიტორიასთან დასაახლოვებლად, თანამედროვე კულტურულ-ლიტერატურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, **ჩვენი რევოლიუციონური ახალი მწერლობის** ლიტერატურული კვალიფიკაციის ასაწევად (არა იმიტომ, თითქოს ქართულ ლიტერატურაში ამ მხრივ ვისიმე უპირატესობას ვგრძნობდეთ, არამედ თანამედროვეობის დინამიურ მსვლელობას რომ არ ჩამოვრჩეთ) და ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე, პასუხისმგებლობისათვის **შემდეგი**

IV.

რამ:

17. **ხელოვნების გაგება, როგორც ცხოვრების კოლექტიური მშენებლობის.**
18. **მხატვრული ლიტერატურის, როგორც გონების და გრძნობების საშუალებით მასსიურ ფსიხიკაზე ემოციონალური ზედმოქმედებითი ფაქტის.**
19. **მასსიური ფსიხიკის ორგანიზაცია რევოლიუციონურ — კომუნისტურ მიმართულებით.**
20. **ხელოვნების ფაქტების და მისი ისტორიული განვითარების შეფასება დიალექტიურ - მატერიალისტური მეთოდით, რომელიც იტევს როგორც თეორეტიულ, ისე ისტორიულ (მორფოლოგია) პოეტიკებს.**
21. **მაქსიმალური დამუშავება თანამედროვე რევოლიუციონური თემების.**
22. **ენათმშენებლობა — (დინამიური სინტაქსისი, პრაქტიკულ ენასთან დაახლოვება, ლაკონიურობა).**
23. **სიტყვის ყოველმხრივი დამუშავება (ლექსიკა, ბგერადობა, სემანტიკა).**
24. **და ყველა ლიტერატურულ ჟანრის ხმარება ფუნქციონალური გამართლებით,**

V.

ვჯერა:

25. რომ გულმოდგინე და ენერგიული მუშაობით **დავსძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებებს** და ქართული ლიტერატურის განვითარების სვლას წარვმართავთ სწორ და გამართლებულ მომავლისაკენ.
26. ამის თავდებია **რამ**-ის კოლექტივისტური მონოლითობა და **შემოქმედებითი პოტენცია**; ამხანაგური ფოლადის დისციპლინა.
27. ყველა ოცდა ოთხი საათი ლიტერატურას უნდა შემოევლოს.
28. **რამ** სრული პასუხისმგებელია თავის ყოველ სტრიქონზე.
29. **რამ-ის კლასიურ-პროლეტარული შეგნება.**
30. ქართული მწერლობის მომწყვდეულ წრიდან გამოსაყვანად **სხვა გზა არ არის.**
31. საბჭოთა საქართველოს ყველა მემარცხენე და რევოლიუციონური ძალები მომავალ მუშაობაში **ჩვენთან იქნებიან**; ეს პირდაპირ დამოკიდებულია მათ შემოქმედებით კოეფიციენტთან.
32. **რამ** „აღმოჩენებით“ არავის მოჯადოებას არ ცდილობს, მაგრამ **ღრმად სჯერა**, რომ თავის მუშაობის პროცესში **თანდროულ მიღწევებს** ადგილი **ექნება**.
33. ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე **ხარისხობრივი** და რაოდენობითი ჰეგემონია **რამ**-ის იქნება.
34. დღევანდელი დღე ქართულ ლიტერატურაში ახალი ეპოქის დაწყების თარიღია.
35. განახლებები საქართველოში თებერვლით იწყება.

ბენიტო ბუაჩიძე.
დავით გაჩეჩილაძე.
ლეო ესაკია.
კარლო კალაძე.
თინა ლოლაძე.
კონსტან. ლორთქიფანიძე.
ალიო მაშაშვილი.
ვარლამ ჟურული.
დავით რონდელი.

თებერვალი, 1926 წ.
თბილისი.

---

*) ვაქვეყნებთ „რამ“-ის დეკლარაციას სრულიად უცვლელად.

რედ.

საბჭოთა საქართველო

ქალაქის საბჭოს არჩევნები.

ქუთაისი, 25 მარტი. ქუთაისში დამთავრდა საბჭოს არჩევნები. **არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 70 პროცენტზე მეტმა. ქალაქის საბჭოში არჩეულია 139 წევრი.** ქალაქის საბჭოს პირველი ყრილობა მოხდა 24 მარტს.

30 მარტს გაიმართება დელეგატების ყრილობა და სამაზრო აღმასკომის არჩევნები. არჩეული იქნებიან აგრეთვე დელეგატები საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე.

ბორჯომის ქარხანაში.

ბორჯომი, 25 მარტი. ბორჯომის მინერალურ წყლების ქარხანამ მიიღო ახალი სარეცხავი და ჩასასხმელი მანქანები. 3 თვის შემდეგ ბორჯომის წყლის ჩასხმის დებეტი გაიზრდება 100 პროცენტით.

ბორჯომის ქალაქის პარკი.

ბორჯომი, 25 მარტი. ბორჯომის აღმასკომს ახლო მომავალში განზრახული აქვს ახალი ბაღის გაშენება ძველი ბაღის ადგილას.

ავტობუსების რეისები.

ბორჯომი, 25 მარტი. მომავალ საკურორტო სეზონისათვის ამიერკავკასიის ავტოტრანსპორტის სამმართველო აწყობს რეგულიარულ საავტომობილო მიმოსვლას ბორჯომ — ახალციხე — ახალქალაქ — აბასთუმნის ხაზზე. **ავტობუსების რიცხვი აყვანილი იქნება 20-დე.**

საბჭოთა სამაზრო ყრილობა.

ოზურგეთი, 25 მარტი. **საბჭოთა სამაზრო ყრილობა გაიხსნება 30 მარტს.**

სოფლის გზები.

ოზურგეთი, 25 მარტი. სამაზრო აღმასკომმა ნება დართო ხიდისთავის სათემო აღმასკომს შემოიღოს გლეხების თვითდაბეგვრა 2000 მანეთით სოფლის გზების და ხიდების შესაკეთებლად.

ჩაის პლანტაციის რევიზია.

ოზურგეთი, 25 მარტი. დასრულდა ოზურგეთის სანიმუშო ჩაის პლანტაციის რევიზია. დეფიციტი უდრის 13.000 მანეთს. აღნიშნულია სამეურნეო დაუდევრობა, სწორი ინვენტარიზაციის უქონლობა და აგრეთვე სახაზინო ქონების მტაცებლობა.

5 თანამშრომელი დათხოვნილია.

რა მოგვცა თბილისის მაზრის არჩევნებმა

საარჩევნო კამპანიამ თბილისის მაზრაში შესაფერისი ნაყოფი გამოიღო, ეს იმით აიხსნება, რომ საარჩევნო კამპანია სოფლად ხანგძლივი იყო, რაც აძლევდა საშუალებას ადგილობრივ მომუშავეთ მოსახლეობის მეტი რაოდენობა ჩაებათ არჩევნებში. თუ გლეხობის 100 პროცენტი ვერ იქნა ჩაბმული არჩევნებში ეს აიხსნება იმ მდგომარეობით, რომ ზოგ შემთხვევაში საარჩევნო პუნქტზე არ იყო სათანადო ბინა, ხოლო ზოგან არჩევნების დღეს ცუდი ამინდი დაესწრო.

მთელ მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 53 პროცენტმა. ხმის მიმცემთა შორის მამაკაცები შეადგენდენ 67 პროც. მეტს, ხოლო დედაკაცები 33 პრ.

საბჭოს წევრები პარტიული მიმართულების მიხედვით ასე ნაწილდებიან: კომპარტიის წევრები და კანდიდატები—324, ე. ი. 20,6 პროც., კომკავშირის წევრები და კანდიდატები—91, 5,8 პროც., უპარტიონი კი 1102, ე. ი. 70 პროც., გამოურკვეველნი—57, ე. ი. 3,6 პროც.

ეს ციფრები ნათელ სურათს გვაძლევს იმისას თუ უპარტიო გლეხობის როგორი დიდი რაოდენობა არის ჩაბმული საბჭოებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხების მიერ ამა თუ იმ წამოყენებულ კანდიდატის დახასიათება საბჭოში არჩევის დროს და აგრეთვე ძველი საბჭოს მუშაობის საქმიანი კრიტიკა. სოციალური მდგომარეობისა და მიხედვით შემდეგი სურათია: გლეხები 1184—ე. ი. 75 პროც. (მათ შორის მოჯამაგირეები არიან 9, ე. ი. 0.8 პროც.), მუშები 54, 3,4 პროც., მოსამსახურეები 292—18,6 პრ., (მათ შორის, სოფლის მშრომელი ინტელიგენცია 120). გამოურკვეველი 2,6 პროცენტი. წითელი არმიელები 22, ე. ი. 1,4 პროც. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი საბჭოების სოციალური შემადგენლობა ჯანსაღია და ისინი მომავალ მუშაობას წარმართავს ნაყოფიერად.

ჩვენი ეროვნული პოლიტიკის საუკეთესო სარკეს იძლევა საბჭოების ეროვნული შემადგენლობა თბილისის მაზრაში. აქ სავსებით არის დაცული მცირე ეროვნებათა ინტერესები. საბჭოებში არიან: ქართველი—787, ე. ი. 50 პროც., სომეხი—246-სი—15,6 პროც., რუსი—103, 6,6 პროც., თათარი—123-მი, 8 პროც., ბერძენი—232, 14,7 პრ., გერმანელი—41, 2,6 პროც., დანარჩენი—39, 2,5 პროც.

როგორი მიღწევები გვაქვს ჩვენ ეხლა საბჭოების გადახალისების დარგში? ახალი შემადგენლობის საბჭოებში ძველი საბჭოების წევრებია მხოლოდ 407-დე კაცი ე. ი. 25,9 პრ. ამ რიგათ ჩვენს საბჭოებს ადგილებზე გამოაკლდა ისეთი ელემენტები, რომელნიც წინა საბჭოს შემადგენლობაში უუნარო გამოდგენ,

შალიკო ჩხაიძე.

სიბინძურე ჯანმრთელობის მტერია

გაზაფხული დადგა. თბილა, მზიან დღეებმა იმატა. სოფლად გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს თესვის კამპანიისათვის. მთელი ყურადღება თითქმის აქეთკენაა მიპყრობილი. სხვა საქმეებისათვის გლეხკაცობას არც კი სცალია. ამავე დროს, გაზაფხულის მოახლოვებასთან ერთად კვლავ წამოიჭრება სოფლის წინაშე ერთი საკითხი, რომელიც ზამთარში კიდევ არ იყო იმდენათ საყურადღებო. ჩვენ ვლაპარაკობთ სანიტარიის შესახებ.

ზამთრის განმავლობაში ბევრი სიბინძურე და უსუფთაობა დაგროვდა სოფლის ორღობეებში და გლეხის კარ-მიდამოზე. თუ აქამდე ეს სიბინძურე შეუმჩნეველი და მოსათმენი იყო, ეს შეუძლებელი ხდება გაზაფხულის მზიან დღეებში.

მკვდარი მფრინველები და ოთხფეხი შინაური ცხოველები, ყოველგვარ სიბინძურით სავსე ტლაპოები და ღობის ძირები, საშინელ შმორს აფენს ირგვლივ და ჰაერს სწამლავს.

სოფელი ხშირათ ყოველივე ამას ითმენს. ოღონდ საკუთარ კარებს კი გაცილონ სიბინძურე და სხვაგან, სადაც არ უნდა დაიყაროს ის, აღარ სჩივიან. სითბოში გახრწნილი და აშმორებული სიბინძურე კი თავისას შვრება. ის ხელს უწყობს ყოველგვარ ავადმყოფობის გავრცელებას, როგორც კაცისას, ისე ცხოველებისას.

როცა სოფელს მოედება სნეულება, ან ჭირი გაუჩნდება შინაურ ფრინველს და სხვა ოთხფეხს, მაშინ მოიფხანენ ხოლმე თავს დაზარალებული მცხოვრებლები. საჭიროა, ამიტომ მოსალოდნელი საფრთხე სათავეშივე იქნას ჩაკლული. ზამთრის განმავლობაში დაგროვილი სიბინძურე გაზაფხულის გაცხოველებამდე უნდა გაიწმინდოს.

თემსაბჭოების საექიმო-სასანიტარო სექციები უნდა ამოძრავდენ ამ საქმის მოსაგვარებლად. მათ უნდა გამონახონ დრო და საშუალება სოფლის გასაწმენდათ სიბინძურისაგან. თორემ დრო არ ითმენს. არ უნდა დაგვავიწყდეს,—რაც დღე მიდის, ზაფხულიც ახლოვდება და ავადმყოფობის საფრთხეც იზრდება.

ზ. სახონიძე.

უპატრონო სკოლა
(გომი, ქუთაისის მაზრა)

ამ თემში არის 7 წლიანი შრომის სკოლა. სკოლის გამგე ამხ. ა. ჩიქვანია ამავე თემის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეა. ამ რიგად ერთ ამხანაგს ორი საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული. სკოლა და აღმასკომი ოთხი ვერსით [illegible] დაშორებული ერთი მეორისაგან. ცხადია, ასეთ პირობებში ორივე მოვალეობის შესრულება შეუძლებელია. ამხ. ჩიქვანიაც აღმასკომისკენ გადაიხარა და სკოლაში თვეში ერთხელ ვერ ასწრებს შემოვლას. ამის შედეგია ის, რომ [illegible] წესრიგი [illegible] [illegible]ში ქათმებითა და კვერცხებით ეწევა სპეკულიაციას; მეორე გაკვეთილზე მოწაფეებს „ეფრემ ვერძი“-ს უკითხავს და სხვა.

მოწაფეებმაც აიშვეს თავი. 13 მარტს, მაგალითად, ერთი ჯგუფი დილით სკოლაში მთვრალები გამოცხადდენ. მხარზე, შამფურზე წამოგებული მჭადები და მწვადები ჰქონდათ, როგორც მაყრიონებს. მთელი დღე სადღაც ექეიფნათ.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებას ევალება ყურადღება მიაქციოს ამ სასწავლებელს.

სამართალი.

ასეთი საბჭო ვერაფერს გააკეთებს
(თავასის თემი, შორაპნის მაზრა)

ჩვენ თემში ახალმა საბჭომ გამოჰყო სექციები, მაგრამ მათ სძინავთ.

განათლების კომისიას არ უფიქრია თემში სკოლების, სამკითხველოს და წერა-კითხვის მოწყობაზე. ესენი კი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან უბინობით და სხვა. სანიტარული კომისია განგებ არიდებს თვალს, თავასის ბაზრის სიბინძურეს. სამეურნეო კომისიასაც სძინავს.

კოოპერატიულ კომისიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თემის საბჭომ დაადგინა: „ყველა საბჭოს წევრები კოოპერატივში წევრად უნდა შევიდეს“, მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა საბჭოს წევრებმა ეს დადგენილება ქარს გაატანეს. ზოგიერთები კი გლეხკომს უშლის ხელს და მის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. წარმოუდგენელია ისეთი საბჭოს წევრი, რომელიც წინააღმდეგია: კოოპერატივის, გლეხკომის, სკოლის, ქ.-სამკითხველოსი და სხვა. ასეთ საბჭოს ხელში თემს ხეირი არ დაეყრება.

ტალი.

სპეკულიანტი კოოპერატივის წევრი

თებერვალში ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ზუგდიდის მთლიანი კოოპერატივი „ახალი გზა“ და წაიღეს დაახლოებით ერთი ათასი მან. საქონელი. ამ საქმეზე ბევრი იყო დაპატიმრებული, მაგრამ საქმის გამოკვლევის შემდეგ, უდანაშაულოდ ცნობილი პირები განთავისუფლდნენ. მოპარული საქონლების ძებნის დროს, გამოირკვა ერთი რომ, რაც ქურდობაზე არა ნაკლებ საზიზღარი საქმეა.

კოოპერატივის წევრს (ყოფილი ვაჭარი) ხორავას, გამოქონდა თურმე ნაცნობი პირების წიგნაკებით კოოპერატივიდან ფართლეულობა და ყიდდა კერძო ვაჭრებზე 25-30 პროცენტით მეტად. შემთხვევით ასეთი საქონელი უნახეს ზუგდიდში ვაჭარ მიხა ბულიას. კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, რომ ვაჭარ-ბულიასათვის ხორავას მიუყიდია გამოტანილი ფართალი.

როგორც გამოირკვა, თურმე მას სისტემატიურად გამოჰქონდა სხვისი წიგნაკებით, როგორც კოოპერატივიდან, ისე სამაზრო აღმასკომის მაღაზიიდანაც ფართლეულობა და ყიდდა კერძო პირებზე.

წევრთაგანი.

კუთხის „შემარცხვენელი“
(ს. გიორგი-წმინდა, საგარეჯოს რაიონი)

გიორგი წმინდის ქვრივ ქალ ა. მ.—ზე კარგა ხანია მეზობლის ქალები კბილებს ილესავდენ. მთელი ზამთარი ჭორიკანა ენებს მოსვენება არ ქონდათ. „უი, ქა, მიწა დაეყარა თვალებზე უსირცხვილო, უნამუსოსა. ნათელ-მირონი შეარცხვინა, თვითონაც თავი მოიჭრა და კუთხეც გაგვილანძღა“.

ქალების სულისკვეთება, როგორც ეს ხშირად ხდება, მამაკაცებსაც მალე გადაედო, დაიწყო უბანში მითქმა-მოთქმა. ვინ როგორ ემუქრებოდა ქვრივ ქალს და ვინ როგორ. „ნათლია შეიყვარა, პურ-მარილი გასტეხა, ჯვარს უღალატა“, გაისმოდა იქით-აქედან.

ბოლოს ფიქრით თავი აღარ შეუწუხებიათ და რამდენიმე ყოჩაღ ბიჭებმა გადასწყვიტეს კუთხის შემარცხვენელ ქალის საკადრისათ გასამართლება.

18 მარტია, მთელი საგარეჯო პარიზის კომუნის დღეს უქმობს. ყველგან ზეიმი და მხიარულებაა. მხოლოდ გიორგი წმინდის ერთ კუთხიდან ისმის სიცილ-კისკისი, ქალის ცივი ხმით კივილი და „დაჭკა-დაჭკას“ ძახილი. ისეთი ხმაურობა იყო, რომ შორიდან კაცს ან ხანძარი, ან მეწყერი, ან კიდევ წარღვნა ეგონებოდა.

მაგრამ შემცდარი იყო, ვინც ასე ფიქრობდა. გიორგი წმინდაში სწარმოებდა კუთხის შემარცხვენელ ქვრივის ა. მ.—ს გასამართლება. რამდენიმე პირს ქალი გადმოეგდოთ აივნიდან და თრევით მიჰქავდათ ქუჩა-ქუჩა. ის იყო საბრალო მსხვერპლი საბძელზე უნდა მიეთრიათ საქონლის ნეხვში ამოსასვრელათ და შემდეგ ვირზე შესაჯენათ და სოფელ-სოფელ ჩამოსატარებლათ, რომ ამ საზარელ სურათს მიუსწრო ადგილობრივ მოწინავე გლეხებმა.

დიდი რწმუნება და ვაი-ვაგლახი დარჩა საჭირო, რომ საბრალო მსხვერპლი გადაერჩინათ ასეთ დაცინვას და გამასხარავებას. მაგრამ დამცირებას ვინღა სჩივოდა, რომ „კუთხის შემარცხვენელი“ ამ საზიზღარ კომედიის დროს დაუზოგავათ არ გალახულიყო.

ასეთ „გასამართლების“ შემდეგ ქვრივი ა. მ. ერთი კვირა ლოგინათ წევს ნაცემ-ნაპერტყი, შეფურთხებული და ხალხის თვალში გაშავებული. და ეს ხდება ადმინისტრაციის და საზოგადოების თვალის წინ.

ვნახოთ, რა პასუხს გასცემს საგარეჯოს ხელისუფლება ამ საზიზღრობის ჩამდენთ.

ფერდოელი.

რა გავაკეთეთ
(პასუხად შ. გ. ამაღლება, გურია)

„კომუნისტი“-ს № 44 მოთავსებული იყო კორესპონდენცია ამაღლებიდან, რომელშიაც ავტორი შ. გ. აცხადებდა, რომ ამაღლების თემის საბჭოს არაფერი გაუკეთებიაო. წერილი არ არის სავსებით მართალი. საბჭოს მუშაობაში ნაკლი უსათუოდ იყო, მაგრამ მთელი მუშაობის ერთი ხელის მოსმით გაცამტვერებაც არ არის დასაშვები.

საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ, კერძოთ, შემდეგი უნდა ითქვას:

1. **კულტურულ-განმანათლებელი** სექციის მუშაობით დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება, მოეწყო 3 სკოლა სხვადასხვა სოფელში, რომელშიაც წერა-კითხვა შეისწავლა 65 მოზრდილმა. ერთი სკოლა დღესაც მუშაობს.

გახსნილია თემის სამკითხველო, სადაც მოდის ჟურნალ-გაზეთები. გამოდის კედლის გაზეთი, მოწვეული იყო აგრონომი საუბრის ჩასატარებლად და სხვა.

2. **სანიტარული სექციის** თაოსნობით სწარმოებდა თემის ყველა სავაჭროთა დათვალიერება სანიტარული წესების დაცვის მიზნით, მოეწყო უფასო საექიმო დახმარება, მიღებულია ზომები ორიოდე ჭაობის ამოსაშრობათ, რომელიც თემში არის და სხვა.

3. **საბჭომ** გარდა ამისა თემის აღმშენებლობის დარგში შემდეგი თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა: დაწყებულია თემის სამკითხველოსათვის ქვის შენობის აგება, გაკეთდა ხიდი მდინარე სუფსაზე, ხელ-ახლა დახურული იქნა სამკითხველოს შენობა ზემო და შუა ამაღლებაში და კიდევ მრავალი სხვა.

ნ. ჩიჩუა.

უმართებულო ბრალდება
(ჭყემო-სიმონეთი, ქუთ. მ.)

„კომუნისტი“-ს 11 მარტის ნომერში კორესპონდენტი „კორწოხელი“ ბრალს მდებს მე, თითქოს კოოპერაციის წინააღმდეგ გამელაშქრებინოს და ქვეყნის მხსნელად „შალომა ურია“ დამესახელებინოს. საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კოოპერაციის წინააღმდეგ მე არ შემეძლო გალაშქრება, რადგან კოოპერაციის სასარგებლო მუშაობა მე დღეს და გუშინ არ დამიწყია. საზოგადო კრებაზე მე გავილაშქრე მხოლოდ ადგილობრივ კოოპერატივის გამგეობის წინააღმდეგ და დავახასიათე მისი მუშაობის ზოგიერთი სუსტი მხარეები.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ახალი გამგეობა აღარ იმეორებს ძველ შეცდომებს და კოოპერატივის საქმეები საგრძნობლად გამოკეთდა.

კოწია ლომთაძე.

არჩევნები წესიერად ჩატარდა
(პასუხი კატნარიშვილს)

მოქ. კატნარიშვილი „კომუნისტი“-ს 52 ნომერში საყვედურს აცხადებს იმის შესახებ, რომ თითქოს არჩევნები სოფელ ხიბულაში (ზუგდიდის მაზრა) არ ჩატარდა წესიერად.

საქმე შემდეგშია: არჩევნების დროს კანდიდატების დასახელება თავისუფალი იყო, ისევე, როგორც კენჭის ყრა. კატნარაშვილმა დაასახელა ორი კანდიდატი: ერთი დადიანის ყოფილი მოურავი ძი[illegible], ხოლო მეორე „კულაკი“ გლეხი გაბანარია. არც ერთი მათგანის არჩევა გლეხობამ არ მოისურვა. ალბათ ამით არის გულნაკლული მოქ. კატნარია და ცდილობს ახალ საბჭოს ჩირქი მოსცხოს. გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ ინსტრუქციის მიერ გათვალისწინებული საარჩევნო წესი დარღვეული არ ყოფილა.

სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებული მ. ბერულავა.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

მარჯვე გლეხკომი. საგარეჯოს თემში ს. **თახლიაურში** დაარსდა კოოპერატივი, თახლიაურის გლეხკომმა თავისი ფონდიდან გაიღო 90 მანეთი (ოთხმოცდა ათი მანეთი) ამ თანხით ჩაწერილ იქნენ კოოპერატივის წევრებად ღარიბი გლეხები და ქვრივ-ინვალიდები, მაგალითად მართლაძე, რომ მისაბაძია.

მ. გარსიაშვილი.

დილომის თემი
(თბილისის მაზრა)

18 მარტს, პარიზის კომუნის დღეს ჩვენს სოფელს ესტუმრა „რემედასი“-ს წარმომადგენელი, რომელმაც გააცნო გლეხობას პარიზის კომუნის დღის მნიშვნელობა და „რემედასი“-ს ამოცანები. მოხსენებას სოფლის გლეხობა ბლომათ დაესწრო. მიღებულ რეზოლიუციაში დილომის გლეხობა აღუთქვამს „რემედს“-ს ყოველგვარ დახმარებას.

ე. ჩოკრიშვილი.

ქრონიკა

საექსკურსიო საზ-ბა

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის თაოსნობით თბილისში ეწყობა ა.-კავკასიის საექსკურსიო-საექციონერო საზ-ბა. ამ საზოგადოების მიზანია მოაწყოს მეცნიერულ და ეთნოგრაფიულ ხასიათის ექსკურსიები ა.-კავკასიის საზღვრებში და ამავე დროს ხელმძღვანელობა და ფულადი დახმარება გაუწიოს კერძო დაწესებულებების მიერ მოწყობილ ექსკურსიებს და ამით ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების გაცნობას. საზოგადოებას განზრახული აქვს ექსკურსიების მოწყობას მიეცეს სისტემატიური და მეტი კულტურული მნიშვნელობა. აღნიშნული საზ-ბა სდგება საექციონერო-სააქციო საზოგადოების სახით და ექნება სპეციალური თანხები ექსკურსიების მოაწყობათ.

თბ. ალმასკომში

◆ **დისპანსერი.** ჯანმრთ. განყოფილებამ დაადგინა, არსებული ტუბერკულოზის დისპანსერი, რომელსაც არა აქვს შესაფერი ბინა და ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, გადაკეთებული იქნას ამბულატორიათ და გახსნილი იქნას ახალი დისპანსერი სათანადოთ მოწყობილი.

◆ ვენერიულ დისპანსერის მუშაობის გასაფართოებლად, ჯანმრთელობის განყოფილებამ ალმასკომის პრეზიდიუმისაგან გამოითხოვა საჭირო თანხები.

◆ **ტყის მოშენება.** თბილისის მიდამოებში ტყის მოსაშენებლათ ქალაქის სატყეოკულტურის სექციას განზრახული აქვს წელს დახარჯოს 20 ათას მანეთზე მეტი [illegible]

◆ **ქოხ-სამკითხველოები.** ამჟამად მთელ თბილისის მაზრაში მუშაობს 18 ქოხ-სამკითხველო, რომელთაც განაგებს თბილისის ალმასკომის პოლიტგანათლების განყოფილება.

დამზღვევ სალაროში

◆ **პენსიონერთა რიცხვი** თბილ. დამზღვევ სალაროში უკანასკნელათ ძლიერ გაიზარდა, მასწავლებელთა პენსიაზე აყვანის გამო. ამჟამად პენსიონერთა რიცხვი უდრის 1600 კაცს

სხვადასხვა

◆ **ტრაქტორების მიღება.** ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ნიუ-იორკიდან მიიღო ცნობა, რომ ამერიკიდან კომისარიატის მისამართზე თბილისში გამოეგზავნა ფორძონის სისტემის 400 ტრაქტორი. ტრაქტორები გაუნაწილდება ამ.-კავ. რესპუბლიკებს.

◆ საგარეო-ვაჭრობის კომისარიატმა გერმანიიდან მიიღო შეკვეთილ გუთნების მთელი რაოდენობა.

◆ საკურნალო ბალახეულობის გასაღების მიზნით საზღვარგარეთ არსებულ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობებს დაეგზავნათ ბალახეულობის ნიმუშები.

◆ **სოც.-უზრუნ. სახ. კომისარიატმა** საკავშირო თათბირზე გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

◆ **დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია** ამხ. ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით გადმოზავრა შორაპანის მაზრაში. სხდომები გაიმართება ქ. ჭიათურაში და შორაპანში. გასარჩევია ოცდა ათი საქმე.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 26 მარტს, საღამოს 7 საათზე, დოცენტი რ. იოსელიანი გააკეთებს მოხსენებას „მენდელიზმის ძირითადი პრინციპების" შესახებ.

საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. გოგუაძის მოხსენება: „მხარეთმცოდნეობა სკოლაში".

შემთხვევები

◆ **მგლები.** 24 მარტს, ღრმაღელის მიდამოებში აღმოაჩინეს მგლების მიერ დაკბენილი და დახოცილი ცხვრის ფარა და უცნობი მწყემსი.

◆ **ქურდი მოსამსახურე.** 24 მარტს, ბორჯომის ქუჩაზე, ნადია საფიხელიძე გაქურდა მისმა მოსამსახურე ქალმა ტარიზიანცმა, რომელმაც წაიღო 300 მან. ნივთები.

◆ **ქურდი ცოლი და ცოლის და.** 24 მარტს, გოგოლის ქუჩაზე, იაკობ ივანოვის ბინა გაქურდა მისმა ცოლმა და ცოლის დამ; ორივენი მიიმალნენ.

◆ **ფიზკულტურის მაღაზიის გაქურდვა.** 23 მარტს, რუსთაველის პრ., შუშის გატეხის საშუალებით გაქურდეს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს მაღაზია.

◆ **ქურდობა.** 24 მარტს, კომ. შესახ., კარების გატეხის საშუალებით გაქურდეს მამედ ისმაილოვის დუქანი, წაღებულია 99 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს, არსენალის ქუჩაზე, გაქურდეს გულამ გუსეინოვის ბინა. წაღებულია 200 მანეთის ნივთები.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„დალატი".** დღეს სახელმწიფო ოპერაში სანდრო ინაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „დალატი".

◆ **„ნათელა".** სახ. კინომრეწველობის ახალი სურათი „ნათელა" თბილისის კინოებში წავა 30 მარტიდან.

◆ **ვაგნერის საღამო.** ახლო ხანში რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება კონცერტი ვაგნერის ნაწარმოებებიდან.

◆ **„თავადი იგორი".** მომღერალ პიროგოვის მესამე საგასტროლოთ 30 მარტს წარმოდგენილი იქნება „თავადი იგორი".

◆ **„ტკბილი შხამი".** კინო—„მინიონში" დაიწყო სურათ „ტკბილი შხამი"-ს ჩვენება.

◆ **სახალხო მუსიკალური სასწავლებელი.** წელს სახელმ. სახალხო სასწავლებელს უსრულდება არსებობის 5 წლის თავი. საიუბილეო კონცერტი გაიმართება 30 მარტს.

◆ **ავლაბრის სახელმ. მუსიკალურ სასწავლებელში** ოთხშაბათს, 31 მარტს, გაიმართება პირველი დახურული კონცერტი მოწაფეების ძალებით.

◆ **ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე.** ოთხშაბათს, 7 აპრილს, ოპერის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის ლიზა (ელისაბედ) ჩერქეზიშვილის იუბილე, მის 45 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება თითო მოქმედება შემდეგი პიესებიდან: „ალუმი", „ხანუმა", და „დედის ერთა". დასასრულ მილოცვები.

დღეს კინოებში

◆ აპოლო—„მისი ქმარი".
◆ არტისტო—„სისხლი და სილა".
◆ სოლეი—„კირპიჩიკი".
◆ მინიონი—„ტკბილი შხამი".

სახალხო კომისართა საბჭოში

იუბილეების გამართვის წესი

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი პროექტი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ საიუბილეო ნებართვის გარეშე იუბილეს გამართვის აკრძალვის შესახებ.

სახანძრო იარაღების სარგებლობის წესი

წინადადება მიეცა შინ. საქმეთა და იუსტიციის სახ. კომისარიატებს გამოსცენ თავისის სახელით სახანძრო იარაღების სარგებლობის წესის შესახებ სათანადო დადგენილება.

ბაქანზე არსებულ ანარიცხების განაწილება

ამორჩეულია კომისია ამხ. გ. კუპაიძისა (თავმჯდომარე), კვარაცხელიასა და მათიკაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გაეცნოს ბანქის თამაშზე არსებულ გადასახადიდან შემოსული თანხის დაწესებულებათა შორის განაწილების საკითხს.

მძლავრ რადიო-სადგურის აგება

ა.-კ. სახკომსაბჭოს 1926 წ. თებერვლის 22-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სარეზერვო ფონდიდან გაღებულ იქნა 12.000 მან. მძლავრ რადიო-სადგურის აგების საჭიროებისათვის.

ბრძოლა მალიარიასთან

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მალიარიასთან საწინააღმდეგო კომპანიის მოწყობა ნაცვლად 1926 წ. მაისის 2-სა დაინიშნა მაისის 9.

ბრძოლა პარტახტიან ტიფის წინააღმდეგ

ეთხოვა ა.-კ. სახკომსაბჭოს გაიღოს აფხაზეთის სახკომსაბჭოს განკარგულებაში 5.000 მან. პარტახტიან ტიფის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებისათვის.

ფიზიკური კულტურა

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

საგაზაფხულო სეზონის გახსნა

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის პირველობის გათამაშება თბილისში დაიწყება კვირას, 28 მარტს, დილის 10 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე.

ყველა გუნდები ვალდებული არიან გამოცხადდნენ დილის 9 საათზე სრულ შემადგენლობით და თავის ფორმაში აღლუმში და სეზონის საზეიმო გახსნაში მონაწილეობის მისაღებად. გუნდები, რომლებიც არ გამოცხადდებიან მოედანზე, გამორიცხული იქნებიან პირველობის გათამაშებიდან.

ფიზკულტურის თბილისის საბჭოს სასურველად მიაჩნია, რომ აღლუმში მონაწილეობა მიიღონ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავიანთი დროშებით, რომლებზედაც მიმაგრებული არიან გუნდები.

აღლუმს ხელმძღვანელობს ამხ. იოსავა, რომელსაც უნდა მიმართონ ყოველგვარი ცნობებისათვის.

გუნდების რაოდენობა

ყველა გუნდები დაყოფილია 3 კატეგორიათ:

I კატეგორია—6 გუნდი: „დურუჯი", „წ. ა. ფ. ს." (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი), „არსრაიონი", „დინამო", „ლენრაიონი" და „პოლიტეხნიკუმი".

II კატეგორია—12 გუნდი: „პოლიტეხნიკუმი" მე-2, „დინამო", „ჯავშნიანი ნაწილი", „ქართული პოლკი", „მელითონე", „თბილისის ქვეითა პოლკი". „ქართული სამხედრო სკოლა", „სობზ"-ი, „პროლეტარი", „დურუჯი" მე-2, „არსრაიონი" მე-2 და „ავტო-კლუბი".

მესამე კატეგორიაში ჩარიცხულია 25 გუნდი.

პირველი და მეორე კატეგორიის გუნდები ითამაშებენ ერთეულების სისტემით, მესამე კატეგორიის—ოლიმპიური სისტემით, ე. ი. ერთხელ დამარცხებული გუნდი გამორიცხული იქნება პირველობის გათამაშებიდან.

„დურუჯი"—„წ. ა. ფ. ს."

აღლუმის შემდეგ გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დურუჯი"-ს და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის შეჯიბრება.

პირველი მატჩის შემდეგ გაიმართება მეორე შეჯიბრი „პოლიტეხნიკუმი" II-სა და „ჯავშნიანი ნაწილი"-ს შორის.

სეზონის გახსნის დღეს შესვლა მოედანზე უფასოა.

იურიდიული რჩევა-დარიგება

დამიბრუნდება თუ არა ჩემი სამსახური.

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმსახურობდი საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულების შემოსავალ-გასავლის სალაროში. აღნიშნულ დაწესებულებაში მოხდა ბოროტ-მოქმედება, რის გამო ამ დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიტანა ჩემზე ეჭვი, დამსდო ბრალი და დამითხოვა სამსახურიდან, მისივე მითითებით მე დამაპატიმრეს. გამოძიების დასრულებამდე ვიჯექი ციხეში რამოდენიმე თვე. რის შემდეგ განმათავისუფლეს თავდების ქვეშ.

ამა წლის იანვრის თვეში ჩემი საქმე გაარჩია ოლქის სასამართლომ და მე მცნო სრულიად უდანაშაულოდ ჩემზე წამოყენებულ ბრალდებაში და გამამართლა.

ამის შემდეგ მივმართე იმ დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც მე ვმსახურობდი, რადგან მათი მიზეზით ვიყავი მიცემული პასუხისგებაში, რომ მას დავებრუნებინე ჩემს ადგილზე და აენაზღაურებინა მთელი გაცდენილი თვეების ჯამაგირი. მაგრამ მან ამაზე კატეგორიულად უარი მითხრა იმის მომიზეზებით, რომ მე ციხეში ვიჯექი ორი თვეზე მეტი.

ამისათვის გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, არის თუ არა კანონიერი ჩემი მოთხოვნილება ე. ი. ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დამაბრუნოს ჩემს ადგილზე და მომცეს ხელფასი გაცდენილი დროის განმავლობაში?

აგრეთვე გთხოვთ მომცეთ დარიგება, თუ ვის მივმართო ამის შესახებ?

საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრი № 13592.

გ. ც.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის ამბაცი „ე"-სი 1925 წ. 16 იანვრის განმარტებისა, თქვენ, როგორც სასამართლოს განაჩენით გამართლებულს თქვენი ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული ყოველგვარ ბრალდებებისგან, უნდა მოგეცეთ სრული ხელფასი მთელი გაცდენილი დროის განმავლობაში. მასთან ადმინისტრაცია ვალდებულია დაგაბრუნოთ თქვენ ან ძველ სამსახურზე ან და მოგცეს იგივე კვალიფიკაციისა და ხელფასის თანამდებობა იმავე დაწესებულებაში.

ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ შრომის სასამართლოს, ვინაიდან ადმინისტრაცია ნება-ყოფლობით ამაზე არ თანხმდება.

სხვადასხვა ამბები

— ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას 1925-27 წლ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კამპანიის ჩასატარებლად.

— საქონლის ტრიალის გაჯანსაღების მიზნით საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა სრულებით **შეწყვეტილ იქნეს ბანკების მიერ სესხის გაცემა** შემდეგ საქონელზე: ბამბის მანუფაქტურაზე, დამუშავებულ ტყავეულობაზე, ფაიფურის და შუშის ჭურჭლეულობაზე, ლითონის ნაწარმოებზე, ქაღალდზე, კარტოფილზე და მცენარეულობის ზეთზე.

— სახელმწიფო გადასახადების შემოსავლა ამიერ-კავკასიაში იანვრის განმავლობაში გამოიხატა 3.635.439 მანეთში, რაც წინანდელ თვესთან შედარებით 4,7 პროცენტით ნაკლებია.

პირველი ადგილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს, რომლიდანაც შემოვიდა 1.940.810 მან.

მეორე ადგილი უჭირავს **პირდაპირ გადასახადებს**, რომლიდანაც საანგარიშო თვის განმავლობაში შემოვიდა 1.384.161 მან.

შემდეგ მიდის სალერბო გადასახადი 309.275 მან. და გადასახადი მემკვიდრეობაზე—1.193.

— ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ცნობით ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში 287 საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაა.

— ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა მომავალ თესვის კამპანიის დროს ფინანსიური დახმარება გაუწიოს მებამბეებს აზერბეიჯანის, ნახიჩევანის და საქართველოს ტერიტორიაზე. სულ ავანსები დაურიგდება მთელ დასთესს არეს ერთ მეხუთედს—ანუ 22.800 დესეტინა მიწას. თითო დესეტინაზე გაცემული იქნება 50 მანეთის ავანსი.

— ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შესაძენად ერთი მილიონი მანეთის კრედიტის გაცემის გეგმა ამ თანხის 30% გაცემული იქნება მოკლე ვადიან სესხის სახით.

— ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა 300.000 მანეთი კახეთში ვენახების საპლანტაციო მუშაობის დასამთავრებლად.

— ამას წინად დამთავრა მუშაობა სამეცნიერო ექსპედიციამ ალაზნის რაიონში. ექსპედიცია მოაწყო საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურმა განყოფილებამ.

ექსპედიციამ გამოიკვლია ფაუნის (ცხოველების), ადგილობრივ ტყეების და ალაზნის ველის მდგომარეობა. „ზოოლოგიურ მუზეუმისათვის დამზადებულია ცხოველების, ფრინველების და სხვა საინტერესო ექსპონატები.

— ერთი წლის განმავლობაში ზოოლოგიური მუზეუმი ინახულა დაახლოვებით 70.000 კაცმა, აქედან 25.000 ექსკურსანტი იყო.

ზოოლოგიურმა მუზეუმმა დაამზადა ექსპონატები საბჭოთა რუსეთის და საზღვარგარეთულ მუზეუმების ექსპონატებზე გასაცვლელად.

ხელოვნება

საზოგადოების აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს

სხვას ვერაფერს უწოდებთ, თუ არ საზოგადოების აბუჩად აგდებას, იმ შემთხვევას, რომელსაც 24 მარტს საოპერო თეატრში ჰქონდა ადგილი. თავს დავანებებთ იმას, რომ დაპირებული „დალატი"-ს მაგიერ „ქეთო და კოტე" დადგა და [illegible] მუშა-მოსამსახურის მიერ სერიოზული ოპერის მოსასმენად შერჩეული საღამო ტყუილად დაიკარგა.

ოპერის თეატრის ადმინისტრაცია ალბათ ფიქრობს, რომ წარმოდგენის დაწყება დროზე მხოლოდ გასტროლების დროს უნდა, სხვა დროს კი სულ ერთია წარმოდგენა როდის დაიწყება—დანიშნულ 8 საათზე, 9-ზე თუ ათზე.

ფარდა ცხრა საათზე აიხადა. პირველი მოქმედება გათავდა და საზოგადოება ათამდი ვერ ეღირსა ფარდის ახდას.

როგორც იქნა მისცეს ფარდის ახდის ნიშანი.

„ეშველაო"—გაიფიქრა ყველამ გულში. ამ დროს გამოდის ფარდის წინ ადმინისტრაციის წარმომადგენელი და აცხადებს: „მსახიობ ისეცკის **უეცრად ავადგახდომის** გამო კოტრიაშვილის როლს მომღერალი სუხოდოლსკი შეასრულებს რუსულ ენაზე".

აღშფოთება გამოიწვია ამ განცხადებამ, განსაკუთრებით იმათში, ვინც მსახიობი ისეცკი ერთი საათის წინ მხიარულად მოსაუბრე ნახა თეატრში.

გაისმა ყვირილი: არ გვინდაო, მაგრამ „უეცრად ავად გამხდარ" მომღერალს ვინღა დააბრუნებდა თეატრში.

ვაივაგლახით ჩატარდა მეორე მოქმედება. ალბათ თვით მომღერალმა სუხოდოლსკიმ იგრძნო, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენეს იგი და მესამე მოქმედებაში აღარ გამოსულა.

გათამამებულმა ადმინისტრაციამ ბოდიშის მოხდაც არ სცნო საჭიროთ და მესამე მოქმედებაში საზოგადოების გაუფრთხილებლად მომღერალი ლორთქიფანიძე გამოუშვა.

ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის ოპერაში.

რასა გავს ეს?

განა შეიძლება დამსწრე საზოგადოების ასე აბუჩათ აგდება?

N.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 17

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

— **სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხ. „გ" პუნქტი., 105, 111 მუხ. 171¹ მუხ. მე-2 ნაწ., 187 მუხ. შენიშვნისა და 204 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხ. „გ" პუნქტისა, 105, 111 მუხ. 171¹ მუხ. მე-2 ნაწ., 187 მუხ. შენიშვნისა და 204 მუხ. მე-2 ნაწილის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 100 პუნქტი „გ". საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანა საბაჟოს ყალბი დოკუმენტით, ან სხვა საქონლის დოკუმენტით, ყალბი საბაჟოს ნიშნის (ან დაღის) დასმით, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი მოქმედებით, რაც მიმართულია საქონლის კონტრაბანდული გატან-შემოტანისათვის;

მუხ. 105. დამალვა რეგისტრაციაში გასატარებელი, აღსანუსხავი ან სახელმწიფო საცავში გადასაცემი კოლექციებისა, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლებისა გამოიწვევს

იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე და დამალული ქონების კონფისკაციას.

მუხ. 111 უგულებელყოფა სამსახურისა, ესე იგი სამსახურის გამო მინდობილი მოვალეობის დაუდევრად და უყურადღებოდ ასრულება, რასაც მოჰყვება საქმის გაჭიანურება, დაყოვნება, საქმისწარმოების და ანგარიშების უწესრიგობა და სხვა რამ ნაკლი, გამოიწვევს

108 მუხლის 1 ან 2 ნაწილში გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

მუხ. 171¹ მე-2 ნაწ. ხოლო, უკეთუ დანაშაულს თან სდევდა ძალადობა, ან იგი ჩადენილია დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

დამნაშავისათვის შესაფარდებელი სოციალური დაცვის ღონისძიება.

— თავისუფლების აღკვეთა—აიწევს სამ წლამდე

მუხ. 187 შენიშვნა. წვრილმანი საქარხნო-საფაბრიკო ქურდობა, როდესაც წარმოებაში მომუშავე მუშა ან მოსამსახურე თავის საწარმოოში პირველად მოიპარავს წარმოების მასალას და იარაღს, უკეთუ მოპარული საგნის ღირებულება ხუთმეტ მანეთს არ აღემატება, დევნილ იქნება საწარმოს ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრატიული წესით გადასახდელთა იმ ტაბულისამებრ, რასაც დააწესებს შრომის სახალხო კომისარიატი.

მუხ. 204 გამომგონის ან პატენტის პატრონის უფლების დარღვევა ისეთი სხვისი გამონაგონის გამოყენებით, რომელსაც რეგისტრაცია გაუკეთდა დადგენილი წესისამებრ და რომლისთვისაც შემდეგში პატენტი გაიცა, აგრეთვე ისეთი პატენტის სარგებლობით, რომელიც გამონაგონისათვის სხვა ვისმე მიეცა, გამოიწვევს

იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას, რომელიც უნდა უდრიდეს თვითნებისი სარგებლობით მიღებული გამომჩენის რაოდენობას—ერთი-ორად.

უკეთუ გამომგონის უფლება დარღვეულ იქნება მით, რომ დამნაშავე წინასწარი შეცნობით სხვის გამონაგონს თავის გამონაგონად რეგისტრაციაში გაატარებს აგრეთვე სხვის, რეგისტრაციაში გაუტარებელ, გამონაგონს თვითნებისად პრესაში გამოაქვეყნებს ან საპაჭრაოდ გამოიყენებს, რათა ამ გზით გამომგონს პატენტის მიღების შესაძლებლობა მოესპოს, ეს დანაშაული გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე, ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, ან ჯარიმას, რომელიც უნდა უდრიდეს თვითნებისი სარგებლობით მიღებული გამორჩენის რაოდენობას ერთი-სამად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წ. მარტის 10.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ვის აქვს საწინააღმდეგო

— **1-ლ ქართ. მსროლ. ლეგიონის** მე-3-მე ასეულის კომუჯრედში შეტანილია განცხადება პარტიის წევრად და კანდიდატად დამტკიცების შესახებ შემდეგი ამხანაგების მიერ: **ჯიშკარიანი** ესტატე, **ურთმელიძე** ვასილ, **მურვანიძე** სიმონ, **შაგური** ისაკი.

— **1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის** მე-8-ე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება ა. კ. კავშირის წევრებს პარტიის კანდიდატობის შესახებ: **მოსეშვილი** გიორგი ალექსანდრესძე., **თათარაშვილი** მიხეილ იასონისძე, **მიქაშავიძე** ვლადიმერი მასიკოსძე, **ვახაძე** ვასილი სილოვანისძე.

— **1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის** უმცროს მეთაურთა სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ: გელეიშვილი ივანეს, გვაძაბია აკაკის და მჟავია რაჟდენს.

— **ქართული სამხედრო პოლიტიკურ სკოლის** კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრებად გადაიყვანის შესახებ: **პაჭკორია** ბენიამინ სტეფანესძე, და **დარჩიაშვილი** ვლადიმერ ალექსანდრესძე.

ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს, 26 მარტს, ახალ მუშათა კლუბში (სასახ. ქ. 5), საღამოს 6 ს. შესდგება ქალაქის რაიონის **მბეჭდავთა აქტივის თათბირის გაგრძელება** ამხ. ხაზიანის მოხსენების შესახებ.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომი იუწყება: შაბათს, 27 მარტს, ალმასკომის შენობაში, საღამოს 6 ს. შესდგება ქალაქის რაიონის **აქტივის თათბირი.**

დასწრება სავალდებულოა ყველა უჯრედების მდივნებისა და ქალაქის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკთათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის უჯრედებს მორიგ პარტიულ დღეს პარასკევს 26 მარტს დღის წესრიგში რაიკომებთან შეთანხმებით დასვან ადგილობრივი საკითხები.

თბილისის კომიტეტის მდივანი ხვანიძე.

პარასკევს, 26 მარტს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტ. სამდივნოში შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის სამდივნო.

შაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე, რემდასის საქ. ცეკას ბინაზე მოწვეულია **რემდასის საქ. ცეკასა და თბილისის კომიტეტების კომფრაქციის გაერთიანებული სხდომა.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: მ. ჩოდრიშვილი, მუშიშვილი, ჯიჯაძე, კიზირია, შელიძე, არჩ. რუხაძე, ქუთათელაძე პეტრე, ნაცვლიშვილი, ბელიაევი, ასრიბეკოვი, ალიხანოვი, გიკ და მშველიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს პარტიული და საკანდიდატო ბილეთების მისაღებათ გამოცხადდნენ რაიკომის ქვეგანყოფილების აღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში შაბათს 27 მარტს ნაშუადღევის 2 საათიდან 4 საათამდე და კვირას 28 მარტს 10 საათიდან დღის 1 საათამდე.

პარტბილეთების მისაღებათ:

კომახიძე გიორგი უჯრ. № 7, კაკალოვი სერაპიონი უჯრ. № 7, რეკაზოვი ალექსანდრე უჯრ. № 7, ფიდოსეევა ლიდია უჯრ. № 2, ვართაპეტოვა ბარბალე უჯრ. № 2, კირაკოსაშვილი სარქისი უჯრ. № 2, ოგანეზოვი საფარი უჯრ. № 8, ჯენჯოია გარეგინი უჯრ. №24, ოგანოვი ალექსანდრე უჯრ. № 20, ბოლოტინა ანასტასია უჯრ. № 2.

საკანდიდატო ბარათების მისაღებათ:

გურგენიძე ალექსანდრე უჯრ. № 5, სიბაშვილი სამსონი უჯრ. № 13, ტონოია არშაკი უჯრ. № 27, კაკვაძე ნიკოლოზ უჯრ. № 1, სამხარაძე კონსტანტინე უჯრ. № 16, ტერკაზაროვი ერვანდი უჯრ. № 7, ჯანოვი ნიკოლოზ უჯრ. № 2, ავდალიანი სარქისი უჯრ № 3, მხიტარიანი ტონო უჯრ. № 27, ფილიპოვი სერგეი უჯრ. № 12, პანიევი ტიგრანი უჯრ. № 1, ბეკაური მიხეილი უჯრ. № 2, მოროშვილი არტემ უჯრ. № 3, ბესაშვილი მიხეილ უჯრ. № 1, როსტიაშვილი სანდრო უჯრ. № 2, გოგიტაშვილი ილია უჯრ. № 2, ქელიძე სიმონ უჯრ. № 12, ამაევი კაფარი უჯრ. № 29, ატოიანი ვართანი უჯრ. № 29, ნადირაშვილი დავითი უჯრ. № 1, აბრამიანი მაკვენი უჯრ. № 12.

სახელმწიფო უნ. ახ. ლენ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს ბიუროკოლექტივის წევრების და კანდიდატების საყურადღებოთ, რომ შაბათს 27 მარტს, დღის 12 საათზე მოწვეულია ბიუროკოლექტივის სხდომა. დასწრება ზემოაღნიშნულ ამხანაგებისათვის სავალდებულოა. ბიუროს სხდომაზე უნდა გამოცხადდეს ამხ. მიშა თევდორაძე.

ს. კ. პ. ლენრაიკომი აცხადებს, რომ შაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათ. პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში მოწვეულია ლენინის რაიკომის **გაფართოებული პლენუმი** უჯრედების ბიუროს, პარტორგანიზატორების და ახ. კომკავშირის უჯრედების მდივნები (პარტიის წევრები) თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1. რაიკომის განყოფილებების ანგარიშები. 2. მიმდინარე საკითხები.

შაბათს, 27 მარტს, ნაშუადღევის 6 საათზე რემდასის საქართველოს ცეკას ბინაზე (კომინტერნის ქ. № 5, მეორე სართული) მოწვეულია **რემდასის საქართ. ცეკას პრეზიდიუმის წევრთა მორიგი სხდომა.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: მ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, არ. რუხაძე, ატაბეგოვი-ტუმას, ბელიაევი, ჯაიანი, ზაქს, შელიძე, ბაგდატიევა, ნუცუბიძე შ., ქუთათელაძე და გ. წულეისკირი.

ღრმად დამწუხრებულნი თამარ ნიკიფორის ასული [illegible] ანტონის ძე თუთბერიძე გულდათუთქულნი [illegible] და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 25 მარტს გარდაიცვალა მათი [illegible]

პატარა ბელიკო (იზაბელა)

გამოსვენება—27 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დავიდოვის მოედანი № 29 ნიკოლოზის სასაფლაოზე. ნ. 1—1

გიორგი, ვასილ და ივანე ანტონის ძენი, კესარია ოქროპირის ასული, თამარ ვასილის ასული, ლიდა კლიმენტის ასული და მარიამ ანტონის ასული თუთბერიძენი, ოლღა ანტონის ასული ვარდოსანიძისა შვილებით და მარიამ ანტონის ასული ჩოგოვაძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 25 მარტს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი ძმის შვილი, მეორის შვილიშვილი მესამე და მეოთხის მაზლისშვილი და დანარჩენთა ძმისშვილი

პატარა ბელიკო (იზაბელა)

გამოსვენება დანიშნულია 27 მარტს, ნაშუადღევის 4 საათ. დავიდოვის მოედანი № 29, ნიკოლოზის სასაფლაოზე. ნ. 1—1

ნიკიფორე და ივანე ალმასხანის ძენი, მარიამ ქაიხოსროს ასული, პაბინე ვარდენის ასული და ბარბალე ალმასხანის ასული, აკაკი და მიშა ნიკიფორეს ძენი, კუკური კონსტანტინეს ასული ცხომელიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველების შვილის შვილი და დანარჩენთა საყვარელი დის შვილი

პატარა ბელიკო (იზაბელა)

გამოსვენება დანიშნულია 27 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დავიდოვის მოედანი № 29, ნიკოლოზის სასაფლაოზე ნ. 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედა ანასტასი, მამა იაკობი, დები ედუკი, ქეთევანი, ალათი, ძმები ალექსანდრე, გრიგოლი (გრიშა), სიძეები—პავლე ფირცხალავა, ისიდორე ოდიშარია, რძლები—მაშიკო, მარიამი, დისშვილები—ტარასი, აგრაფინა, გიორგი (ჟორა), მარიამი, ძმისშვილები—კატო, მარგალიტა, ეთერი და იპოლიტე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელ და დაუვიწყარი

არსენა იაკობის-ძე ბაკურიას

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო კვირას, 28 მარტს, თბილისში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 10—12 საათამდე. 1976 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა არტემი, დედა მარიამი, ძმები: სერგო და მიშა და და ლიდა ჩხაიძეები, ბებია მენოკი, დეიდები: ესმა ეკატერინე—ელისაბედ და ალექსანდრა; ბიძები: ივანე და სამსონ ბარამიძეები, აკაკი იმნაძე, ზენო დევიძე თავისი ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა-წ. 24 მარტს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ლანჩხუთის ტექნიკუმის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფე

გრიგოლ (გრიშა) არტემის-ძე ჩხაიძე

დაკრძალვა მოხდება დაბა ლანჩხუთში ა-წ. 27 მარტს, შაბათს, დღის 12 საათზე. 1964 1—1

მეუღლე მიშა ხერხეულიძე, მშობლები ზაქარია და სოფიო ჩხიკვაძენი შვილებით და ბიძა რომან პეტრიაშვილი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ კვირას, მარტის 28-ს, ნაშუადღევის 1 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება მათთვის დაუვიწყარი

ბაბო ხერხეულიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის აღსანიშნავი პანაშვიდი. ამ დროსვე მოხდება ძეგლის გახსნა. 1974 2—1

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი შვილები: თამარი, ბაბილონა და სერგო, და ოლინკა, ძმები—ოქროპირ და ევგენი, რძლები პელაგია და მენიკო, ძმისწულები: სიმონი მეუღლით ანეტათი—აკაკი და კოსტა ბახტაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა-წ. 22 მარტს, ორშაბათს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და საყვარელი

ანტონ სიმონის-ძე ბახტაძე

რომლის გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება, ქ. ხონში, შაბათს, 27 მარტს. 1973 1—1

აპოლლო
ართისტიკო
სოლეი

პ რ ე მ ი ე რ ა
„მ ი ს ი ქ მ ა რ ი"
მსოფლიო რეჟისორის **მილტონ სილსის** დადგმა.
სოლოს ვიოლონზე შეასრულებს **მალუნცევი.**
ყველგან განსაკუთრებული ინტერესს იწვევდა!!!

საუკეთესო სურათი რუდოლფ ვალენტინოს მონაწ.
„სისხლი და მტვერი"
სოლოს სკრიპკაზე შეასრულებს—იაკობ ბროდსკი.

თბილისში პირველად
„მისი ქმარის სავაჭრო მარკა"
შეუდარებელ **გლორა სვენსონის** მონაწ.
ანონსი 30 მარტიდან საქართველოს „სახკინმრეწვ"-ის ახალი სურათი „ნათელა".

0—14 ნ. 864

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 27 მარტს,
ჰამლეტ
მე-2 შემადგენლობა. უკანასკნელად ამ სეზონში
ნ. 945 3—3

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 26 მარტს,
სანდრო ინაშვილის გასტ.
დალატი
ალიუკოს მონაწილეობით

შაბათს, 27 მარტს.
პიროგოვის გასტროლი
ფ ა უ ს ტ ი

კვირას, 28 მარტს.
სანდრო ინაშვილის გასტ.
რიგოლეტო
ნ. 954 3—2

სახელმწიფო ოპერა
ცნობილ ბანის
გრიგორი პიროგოვის
გასტროლები
შაბათს, 27 მარტს,
ფ ა უ ს ტ ი
სამშაბათს, 30 მარტს, „თავადი იგორი"
ბილეთები, რომლებიც აღებულია 23-ს, 25 და 27 მარტისათვის, გამოდგება 25, 27 და 30 მარტსაც.
ნ. 950 3—3

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მ ი ს ა მ ა რ თ ი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—16

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრძელ უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—11

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არლუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 29 მარტს დღის 12 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის იული იგნატოვს და იმყოფება მე-10 სამილიციო უბ. ფეიერვერკოვის ქ., № 1 და შესდგება საკალბასო ქარხნის მოწყობილობიდან როგორიც არის: ხუთძალიანი ელექტრონის მატორი ხორცის მანქანა (ვოლჩოკ ალ. ვერკერ) და სხვ. შეფასებული 5069 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სურსათ-გემოვნების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 15 მარტის 1926 წ. თარიღით № 921 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენებ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს. ზემოხსენებული ქონების გაყიდვა ერთად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია მყიდველების სურვილზე. 1968 1—1

საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივ. აბაშიძე

აცხადებს, რომ ს. ჭალაში, შორაპნის მაზრა, 30 მარტს, ა. წ. დღით, სამშაბათს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: 1) რვაასი ფუთი ამოღებული ბარიტის მადნისა, შეფასებულია 160 მან., 2) ბარიტის საშრობი აგურის ქურისა, შეფასებულია 15 მან. და 3) ერთი ცხენისა, შეფასებულია 40 მან., რომელიც ეკუთვნის გიორგი ვარდენის-ძე წერეთელს. დასაკმაყოფილებლათ მიხეილ ანტონის-ძე შუშიშვილის ვალისა 650 მან. აღმასრულებელი ფურცლის საჩხერის უბნის სახალხო სასამართლოს თანახმად (17 მარტის 1926 წ. თარიღით № 458). 1975 1—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3.
25—8

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—17

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ბ. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი გ. ნ. მაჩაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი მ. ი. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82
25—13

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური [illegible] პნეიმოტორაქსის და ტუბერკულინის, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—25

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—17

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

პროფ. ბრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება ყოველდღე საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მ ი ს ა მ ა რ თ ი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედიცინის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დღ. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—53.
25—11

ექ. ვასილი ნიკიფოროვიჩი
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსო
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექიმი ა. ს. ფონ-ირტილი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილი, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი ი. ი. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცებისა—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალებისა საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლის (ვორონცოვის ხიდის პირდაპირ).
25—8

დავკარგე პირადობის მოწმობა სიმონ სვიმონის ძე აბაშიძის სახელზე, ჩ. გ. 1965 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 38825 კირილე ტყემელაძის სახელზე, ჩ. გ. 1967 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი და სამეურნეო სასწავლებლის მოწმობა ივანე [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1970 1—1

დავკარგე საბინაო კვიტანცია (ზაქროს ქ. № 22) მარგარიტა ლით. ნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1956 1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 925 მეწაღეთა კავშ. გიორგი ყავლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1972 1—1

დავკარგე 230 მან. თამასუქები ივანე ნიკოლოზის ძ. ბეზარაშვილის სახელზე და სხვა საჭირო ქაღალდები. ჩ. გ. 1971 1—1

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი, პირადობის მოწმობა. ექ. გრიგოლ ფხალაძის სახელზე, ჩ. გ. 1969 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68

ტირაჟი—25.543